# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 172 სამშაბათი, 4 აგვისტო 1909 წ. № 172

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ჰ. მეტცლ და ამხ.—ბის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დაბეჭდილი განცხადები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. რედაქცია მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.


## ტფილისი 4 აგვისტო

გავიცანით-რა წარსულ წერილში (იხ. „დრ." კვირის № 172) მთავრობის პროექტი ქალაქთა გამოყოფვის შესახებ ერობიდან, ვიკითხოთ—რა მოსაზრებით ხელმძღვანელობენ ამ რეფორმის მომხრენი, რათ მოითხოვენ ქალაქები ასე დაჟინებით ამ გამოყოფვას?

უნდა ვაღიაროთ, რომ მოსაზრებანი სერიოზულ საფუძველს მოკლებულნი არ არიან და ქალაქთა მოთხოვნა ბუნებრივ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. თავი და თავი მოსაზრება, რომლიდან გამომდინარეობენ სხვა საბუთებიც რეფორმის სასარგებლოდ, ის არის, რომ ერობა ბევრს ახდევინებს ქალაქებს და ცოტას ხარჯავს მათზე. რადგან ქალაქი უფრო მდიდარია სოფელზე, ამბობენ რეფორმის მომხრენი, ერობა მეტ წილ გადასახადს ქალაქს აკისრებს. ქალაქს-კი ბევრი საქმე აქვს მოსაწყობი ისეთი, რაც სოფლისთვის საჭირო არაა; ხოლო რადგან ფული არ ჰყოფნის, უმატებს გადასახადთა ნორმას; ასე რომ, ქალაქის მცხოვრებთ დიდი ტვირთი აწვება კისერზე: ცალკე ქალაქის საკუთარი მოთხოვნილება უნდა დააკმაყოფილონ, ცალკე—ერობისა. სამინისტროს ამის დამამტკიცებელი გამალითებიც მოჰყავს, რომელთაგან უმთავრესებს ჩვენც მოვიყვანთ. ქალაქი სარატოვი, მაგალითად, წელიწადში იხდის: საგუბერნიო ერობის სასარგებლოდ 114 ათას მანეთს, სამაზრო ერობის სასარგებლოდ 145 ათას მანეთს; გარდა ამისა სახელმწიფო გადასახადისას აძლევს ხაზინას 100 ათას მანეთს; სულ ქალაქმა სხვებს უნდა აძლიოს 360 ათასი მანეთი. რაღა უნდა დარჩეს საკუთარ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, როცა მისი მთავარი წყარო შემოსავლისა—დასაფასებელი შემოსავალი — მხოლოდ 210 ათას მანეთს აძლევს წელიწადში?.. ქალაქი მოსკოვი აძლევს საგუბერნიო და სამაზრო ერობათ წელიწადში 1.400,000 მანეთს, ერობანი კი მის საჭიროებაზე ხარჯავენ არა უმეტეს 150 ათას მანეთისა. ნიჟნი-ნოვგოროდის სამაზრო ერობა მთელ თავის მეურნეობას ქალაქ ნიჟნი-ნოვგოროდის ხარჯზე აწარმოებს. ქალაქ ეკატერინბურგის მთელი შემოსავალი უდრის 420 ათას მანეთს; აქედან ვალებს აძლევს ყოველ წელს 38 ათას მანეთს; დანარჩენიდან საგუბერნიო და სამაზრო ერობათ უნდა აძლიოს ყოველ წელს 112 ათასი მანეთი; ერობა კი საკუთრად ქალაქის საჭიროებისთვის ხარჯავს 30 ათას მანეთს.

ეს რამდენიმე მაგალითიც მოწმობს, რომ ქალაქთა სამდურავი უსაფუძვლო არ არის: ერობა გადაჭარბებულ ხარჯს აკისრებს მათ და, სამაგიეროდ, ცოტას აძლევს. ის, სადაც ერობაში დიდი ქალაქია, იმ მაზრის სოფელს შეღავათიანი გადასახადი აწევს სხვა მაზრის სოფლებთან შედარებით. მაგალითად, ხარკოვის მაზრაში ერთ დესეტინა მიწაზე დაწესებულია 23 კაპ. გადასახადი, ხოლო მეზობელ მაზრებში, სადაც ხარკოვისთანა მდიდარი ქალაქი აღარ არის, დესეტინაზე დაწესებულია 1 მ. 65 კ. საერობო გადასახადი. მაშასადამე, ქალაქ ხარკოვის მცხოვრები 1 მ. 40 კ. მეტს იხდის, რათა ხარკოვის მაზრის მიწათმფლობელს ტვირთი შეუმსუბუქოს... ამ მოვლენას, რასაკვირველია, უსამართლოდ სთვლიან ქალაქთა წარმომადგენელნი და მოითხოვენ ამ თავისებურ ბატონ-ყმობისაგან განთავისუფლებას. თუ ქალაქს აეხდება ეს მძიმე უღელიო, ამბობენ ისინი, მისი განვითარება სწრაფად წავა წინ, რაც მთელის ქვეყნისათვის სასარგებლო იქნებაო...

მაგრამ, არა ნაკლებ საფუძვლიანი მოსაზრებანი აქვს რეფორმის მოწინააღმდეგეთაც... ჯერ ერთი ისაა აღსანიშნავი, რომ ფულით მარტო არ განიზომება ქალაქის და სოფლის მცხოვრებთა ურთიერთობა. ქალაქის და სოფლის მცხოვრებია ინტერესები ხშირად ისე მჭიდროთ არიან შეკავშირებულნი, რომ მათ შორის საზღვრის დადება შეუძლებელია. რაც უფრო ჯანსაღი ხალხი სცხოვრობს სოფელში, მით უკეთესი ქალაქისთვის, რომელიც მუდამ იზიდავს სოფლებიდან მცხოვრებთ; რაც უფრო განვითარებული და კულტურული იქნება სოფლის ხალხი, მით უკეთესი გზები ექნება სოფელს, მით უკეთესი ქალაქისათვის: უფრო განვითარებულ ხალხს მიიზიდავს; რაც უკეთესი გზები ექნება სოფელს მით უკეთესი ქალაქისათვის: სოფლის ნაწარმოები ნაკლებ ფასში გაიყიდება ქალაქად, რადგან მისი გადატანა იაფი დაჯდება; რაც უფრო ამაღლდება სოფლის კეთილდღეობა, მით უკეთესი ქალაქისათვის: ფართოვდება და მაგრდება ბაზარი მრეწველობის ნაწარმოებთა გასავრცელებლად და სხვა. ბოლოს და ბოლოს სოფელი უბრუნებს ქალაქს უფრო მეტს, ვიდრე იმისაგან ფულად აიღებს საერობო გადასახადს.

შემდეგ, საგუბერნიო ერობა არის კავშირი, კულტურული კავშირი ყველა ადგილობრივ მცხოვრებთა საერთო ადგილობრივ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. ეს არის მწყობრი შენობა, მწობრი სხეული, რომლის თითოეული ნაწილი შესაფერის და თავის ძალის მიხედვით სამსახურს ეწევა. შესაძლებელია, რომ ერთს ნაწილს მეტი ჯაფა, მეტი ტვირთი დააწვეს, მაგრამ მას შეუძლიან ამ ტვირთის ატანა და უნდა აიტანოს მთელის ორგანიზმის სასარგებლოდ. თუ ერთი რომელიმე ნაწილი ჩამოაშორეთ ამ საერთო მთლიან ორგანიზმს, მთელი სხეული შეირყევა. თუ უფრო მდიდარი და უფრო ძლიერი ქალაქები ჩამოაშორეთ ერობას, დარჩება უფრო ღარიბი და უფრო სუსტი სოფელი, რომელიც უფრო დაქვეითდება, რაც ბოლოს და ბოლოს თვით ქალაქსაც დააქვეითებს.

თუ ამ საზოგადო მოსაზრებათაგან გადავალთ ფაქტიურ და პრაქტიკულ გარემოებებზე, დავინახავთ, რომ რეფორმის მომხრეები სავსებით მართალნი აქაც არ არიან. ყოველ გუბერნიაში მდიდარ საგუბერნიო და სამაზრო ქალაქების გარდა არის ღარიბი სამაზრო ქალაქები. ესენი თავის მხრივ მძიმე ტვირთად აწვებიან ერობას. რასაც ერობა მდიდარ ქალაქებიდან აიღებს, აქედან ბევრი ღარიბ ქალაქებზე უნდა დახარჯოს. მაგალითად, მოსკოვის გუბერნიის სამაზრო ქალაქები აძლევენ ერობას 28 ათას მანეთს, ერობა კი მათ საჭიროებაზე ხარჯავს 50 ათას მანეთამდე. პსკოვის საგუბერნიო ერობა თავის შემოსავლის ნახევარზე ცოტა მეტს ქალაქ პსკოვსა და სამაზრო ქალაქებს ანდომებს. სარატოვის საგუბერნიო ერობა საექიმო ნაწილზე და ღარიბთათვის სამადლო სახლებზე ხარჯავს წელიწადში 307 ათას მანეთს, აქედან 3/4 ქალაქებში იხარჯება.

მიუხედავად ასეთის ფაქტებისა და საზოგადო მოსაზრებათა ერობის წარმომადგენელნი და რეფორმის წინააღმდეგნი უარს არ ჰყოფენ იმ გარემოებას, რომ დღეს ერობასა და ქალაქს შორის ანორმალური ურთიერთობა ჰსუფევს. მართლაც ბევრგან ერობა ერთობ გადაჭარბებულად აფასებს ქალაქის მამულებს, დიდ გადასახადებს ადებს მათ და ნაკლებ ყურადღებას აქცევს საკუთრივ ქალაქის საჭიროებათ. მაგრამ, სამართლიანად შენიშნავენ ისინი, ვინც ერობას იცავს, განა არ შეიძლება ეს ანორმალური ურთიერთობა სხვა გზით და სხვა საშვალებით მოისპოს და არა ქალაქების გამოყოფვით? განა არ შეიძლება დარჩეს საურთიერთო დახმარება ქალაქისა და სოფლისა და ამავე დროს ქალაქი უზრუნველყოფილი იყოს ექსპლუატაციისაგან, თუ ერობა ასეთ ექსპლოატაციას ეწევა? ეჭვს გარეშეა, რომ არსებობს ღონისძიება, რომლის შეოხებით შეიძლება ნორმალური ურთიერთობა დამყარდეს ქალაქსა და ერობას შორის. ასეთს ღონისძიებათ ეკუთვნის, მაგალითად, საკანონმდებლო გზით იმ ნორმის აღნუსხვა, რომლის ზევით, აღნიშნულ-დაწესებულ ხანაში ერობას არ შეუძლია ავიდეს გადასახადების გაწერაში ქალაქზე, აგრეთვე განსაზღვრულ %-ის დახარჯვა ქალაქზე იმ ფულიდან, რომელიც ერობას შემოუდის ქალაქიდან. ეს და სხვა გარანტიები თუ იქმნა შეტანილი საერობო დებულებაში, უეჭველია ქალაქისა და ერობის ურთიერთობა საკმარისად მოწესრიგდება და დღევანდელ პირობებში არსებულს ანტაგონიზმს ნიადაგი დაეკარგება. მაშინ დღეს განზრახული რადიკალური რეფორმა საჭირო აღარ იქნება,—რეფორმა, რომლის განხორციელება პრობლემატიურს და მოჩვენებით უპირატესობას აძლევს ქალაქს, ხოლო სოფელს კი ცუდ სამსახურს გაუწევს...

აქაც უნდა შევნიშნოთ, რომ ერობის წარმომადგენელნი სავსებით წინააღმდეგნი არ არიან მთავრობის მიერ განზრახულ რეფორმისა. დიდი უმეტესობა ერობის იმ წარმომადგენელთაგან, რომელნიც ესწრებოდნენ ადგილობრივ სამეურნეო საქმეთა საბჭოს სხდომებს, მომხრე იყო დიდ ქალაქების გამოყოფისა **მაზრის** ერობისაგან. ეს სრულებით საკმაო თავისუფლებას მისცემს ამ ქალაქთაო და ამავე დროს საგუბერნიო ერობაში დარჩენა მთელ საერობო საქმის მთლიანობას არ დაარღვევსო. ეს კორრექტივი და აგრეთვე ზემოდ აღნიშნულ გარანტიების შეტანა საერობო დებულებაში სრულებით საჭიროდ აღარ ხდიან შინაგან საქმეთა სამინისტროს პროექტის იმ ნაწილს, რომელიც შეეხება დიდ ქალაქების გამოყოფის საკითხს. რუსეთის სოფელი ჯერაც ერთობ ღარიბი და ჩამორჩენილია და ჯერ კიდევ სჭირია უფრო მდიდარის და კულტურულად უფრო ძლიერის მოძმის დახმარება...

ვნახოთ ახლა ამ საკითხის ვითარება ჩვენს მომავალ ერობაში.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 აგვისტო

### ოსმალეთი

**პარიზი.** ჰავასის სააგენტოს ატყობინებენ: კრიტეს მთავრობამ აცნობა ოთხ მფარველ სახელმწიფოს კონსულებს, რომ დარიგებამ ქალაქ კანეის მცხოვრებლებზე არ გასჭრა და მათ კანეის ციხეზე ამართული საბერძნეთის დროშა არ ჩამოიღეს. მთავრობა ამ საქმეში უძლურია, ამიტომ მან მოიწვია კრიტეს დეპუტატთა პალატა. მთავრობა სამსახურიდან გადადგება. ამის გამო მფარველმა სახელმწიფოებმა დაადგინეს, გაჰგზავნონ კანეიაში თითო სამხედრო გემი. თითო გემი უკვე არის იქ. ინგლისმა ბრძანება გასცა, მალტიდან დაუყოვნებლივ წავიდეს სამხედრო გემი. საფრანგეთმა დღეს გასცა ბრძანება ტულონიდან ჯავშნიან კრეისერის „ვიქტორ ჰიუგოს" წასვლის შესახებ. საფრანგეთს მზადა ჰყავს გასაგზავნად მესამე გემიც. იტალიაცა ჰგზავნის გემს. რუსეთი, მეორე გემის მისვლამდე კრიტეში, ჰგზავნის საკანონიერო ნავს. როდესაც სახელმწიფოთა გემები კრიტეში მივლენ, შეუდგებიან ძალით საბერძნეთის დროშის ჩამოღებას, თუ მანამდე თითონ მცხოვრებნი არ ჩამოიღებენ.

**სალონიკი.** ალბანიისა და ბერძნების მონასტერში ჩხრეკა. იპოვნეს იარაღის საწყობები. დააპატიმრეს რამდენიმე ბერი.

**პარიზი.** ჰავასს სტამბოლიდან ატყობინებენ: როდესაც ოსმალეთმა კარპატოსის კუნძულისკენ ესკადრა გაჰგზავნა, კრიტეს მფარველმა სახელმწიფოებმა აცნობეს, რომ მათ უკვე მიიღეს ზომები საბერძნეთის დროშის გამო და სთხოვეს, არ გაჰგზავნოს ოსმალეთმა თავისი ესკადრა კრიტეში.

**სტამბოლი.** სენატმა უცვლელად დაამტკიცა დეპუტატთა პალატის მიერ მიღებული ბიუჯეტი. ამ ბიუჯეტით, შემოსავალი მოსალოდნელია 25.078,600 ოსმალური გირვანქა, ხარჯი—30.528,000 გირვანქა. დეფიციტი—5.450,000 გირვანქა—სესხით უნდა დაიფაროს.

**ბერლინი.** გაცნობილ წრეებში არა სჯერათ, რომ მართალი იყოს ჰავასის სააგენტოს ის ცნობა, ვითომ ოსმალეთს თავის ნოტაში საბერძნეთის მთავრობისთვის მოეთხოვოს, ალგვითქვი, რომ კრიტეს მოძრაობაში მონაწილეობას არ იღებთ და არც გსურთ კრიტეს შეერთებაო. ეს მით უფრო შესაძლებელი არ არის, რომ არ ეგუება ოსმალეთის მთავრობის მშვიდობიან განწყობილებას და ესეც რომ არ იყოს, ეს მოთხოვნა ძალიან ძნელი ასასრულებელია საბერძნეთის მთავრობამ რომ განაცხადოს კრიტეს შეერთება არა გვსურს და კრიტესზე სამუდამოდ ხელს ვიღებთო, საზოგადოება ისე აღელდებოდა, რომ მთავრობა იძულებული იქნებოდა რომ სამსახურიდან გასულიყო.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს კანეიდან დეპეშით ატყობინებენ: დეპუტატების ჩამოსვლისთანავე, პირველ აგვისტოს საღამოთი ქალაქში შემოვიდა შეიარაღებულ


## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

**რუდენკო**—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

**რიდელი**—ბავშვისა, შინაგანი. ყოველ დღე 2½—3½ ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე 1½—3 ს.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბთ, ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

**ბოგუსკი**—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**გორალევიჩი**—შინაგან, ყოველ დღე. 11½—12½ ს.

**იაკ. ჩუდნოვსკი**—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ.და პარასკ. 4—5 ს.

**ახპისოვი**—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3. საათ.

**ხუდაბაშევი**—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

**აბულაძიანი**—ბავშვისა შინაგ. ყოველ დღე 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—72)

## სურამის პროგიმნაზიაში

გაიხსნა პირველი კლასი, ძირითად განყოფილებებთან ერთად. მისაღები თხოვნები მიიღება პირველ ენკენისთვემდის. გამოცდა დაიწყება 20 მარიამობისთვიდან და გაგრძელდება 1-ლ ენკენისთვემდის. სწავლის ფასი: პირველ კლასში წლიურად ხუთი თუმანი; უფროს განყოფილებაში წლიურად ოთხი თუმანი და დანარჩენ ორ განყოფილებაში წლიურად—სამ-სამი თუმანი. სწავლის ფასიდან ნახევარი უსათუოდ წარმოდგენილი უნდა იქმნას 10 ენკენისთვემდის. 3—311—2)

## ჯუმათის იარმუკა

—გურიაში—

მონასტერთან აგებულია ახალი კარვები; ვაჭრობა დაიწყება 12 აგვისტოს და გასტანს თოთხმეტ დღეს, ვაჭრობის დროს იქმნებიან პოლიციის დარაჯები; კარვის ქირა ხელსაყრელია.

ჯუმათის მამასახლისი **გოგუა.** (1—ფ—1)

## დ. სურამში

8 აგვისტოს გაიმართება

## კონცერტი

**ივ. სარაჯიშვილის, ქ-ნ თ. ძნელაძისა** და სხვათა მონაწილეობით.

შემოსავალი სავსებით გადაიდება **ილია ჭავჭავაძის ფონდის გასაძლიერებლად.** (3—უ.—1)

**ქუთაისში საბჭო ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სკოლისა** ამით აცხადებს, რომ მისაღები ეგზამენები დაიწყება 25 მარიამობისთვეს. (3—კვ.—3)

## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ აგვისტოდან წლის ბოლომდე—4 მ. 40 კ., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.

**ეკატერინე დავითის ასული ლორთქიფანიძისა** შვილებითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს, 6 აგვისტოს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში გარდახდილი იქნება ორმოცი დღის პანაშვიდი

ვლადიმერ გ ჟანის ძის ლორთქიფანიძის

სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი 12 საათზე. (3—რ.—1)

**ქნ. თამარ და ნინო გრიგოლის ასულნი ბეგთაბეგოვები** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 6 აგვისტოს, დაუვიწყარ დედის

ქნ. მართა ნიკოლოზის ასულის ბეგთაბეგოვისას

გარდაცვალების მეორმოცე დღეს, სოფელ ვაყაში (გორის მაზრა) გარდახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი. (1—394—1)

ექიმ ვ. ლამბაშიძის

## სანატორიუმი

გაიხსნა 15 ივნისს. არის რამდენიმე ადგილი მოზრდილთათვის საერთო ოთახებში.

დაწვრილებითი პირობები წერილით ბორჯომს.

Въ мѣст. Боржомъ. Платформа Гамбашидзе, Санаторіумъ Гамбашидзе. (0—20)

ახლად გახსნილი ტფილისის

## კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

**ი. გ. ფეოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

**ვ. დ. ლამბაშიძე**—პირველ სექტემბრამდე შეჩერა მიღება.

**ზ. ა. პოპოვი**—პირველ სექტემბრამდე შეჩერა მიღება.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—124)

**ექიმი ა. ს. ალადაშვილი** ბორჯომში, ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიულ საფაკულტეტო კლინიკისა, იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 11—1 ს. საღამოთი 6—7 ს. ერუსლოვსკის ქ., N 34, აგარაკი ზუბალაშვილისა. (25—321—27)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

**ექიმი კაკიტელაშვილი** ქუთაისში 9 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს ხომხის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით —11 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—ნ.—33)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (9. 127,

**ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი** ქუთაისში იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, სამარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7: კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (70—კვ.—28)

**ექიმები კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ი. სუხარევსკი** იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდოროვის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—211)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**კაბინეტი კბილის საექიმო ა. ა. თათევოსოვი** (ყოფილი თანაშემწე ლ. მტრაიხერისა) რაზიეზჟაია ქუჩა, სახლი N 19, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. იღებს კბილით და ღრძილით ავადმყოფებს დილით 9—2 ს.. საღამოთი 4—7 საათამდე. (25—323—21)

**ექიმი კბილისა ი. ზ. ჭანტურია** იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—8 საათ., კვირა-უქმე დღეს დილით 9—1 საათამდე. აჭალის ქუჩა, № 71 (კიროჩნი ქუჩის ხალი.) (24—310—16)

**ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**დ. ყვირილაში**

მთავრობის ნებართვით 1 ენკენისთვიდან იხსნება ვაჟთა კერძო

## —პროგიმნაზია—

ყვირილის და მის გარშემო მცხოვრებთა საყურადღებოდ სასწავლებლის გამგეობა აცხადებს:

1. მსურველთაგან თხოვნები მიიღება 1 აგვისტოდან დროებით დეკ. დ. ღამბაშიძის სახლში; 2. მოსამზადებელ და შემდეგ კლასებში მისაღები პირობები ისეთივეა, როგორიც მთავრობის ამგვარსავე სასწავლებელში; 3. სწავლის ფული მოსამზადებელ კლასებში 50 მან. წლიურად, ხოლო 1 კლასიდან 60 მან; 4. სასწავლებელში მისაღებად საჭიროა მეტრიკული მოწმობა და ყვავილის აცრის მოწმობა. (8—კვ.—2)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხთა ბრბო და ციხე დაიჭირა, დროშას არ ჩამოვახსნეინებთო.

**რომი.** გაზეთ „ტრიბუნას“ სიტყვით ნეაპოლიდან კრიტეს წყლებში წავიდა კრეისერი „ტერუჩია“, სადაც უკვე იმყოფება მეორე კრეისერი „ვეტტორ პიზანი“.

**მიწის-ძვრა.**

**ტოკიო.** პირველ აგვისტოს ტბა ვივას მიდამოებში საკმაოდ ძლიერი მიწის-ძვრა იყო. ზარალი დიდია კიოტოსა და ოსაკში ბევრი სახლი დაინგრა, ჯერ-ჯერობით გამოირკვა, რომ მოკვდა 21, დაიჭრა 70 კაცი. იუწყებიან, რომ ჩამქრალ ვულკან ისუკის მწვერვალო კრატერში ჩაინგრაო. ტოკიოში მცირე მიწის-ძვრა იყო.

**გაფიცვა შვეციაში.**

**სტოკჰოლმი.** გაფიცვა მშვიდობიანად მიმდინარეობს. ბევრი მუშა სტოკჰოლმიდან ახლო-მახლო ადგილებში წავიდა. გაზეთები ჩვეულებრივად გამოდიან. სახაზინო და სამრეწველო დაწესებულებებში ნორმალური მუშაობაა. სურსათი საკმაო შემოაქვთ. ის მუშები, რომელნიც ორგანიზაციების წევრებად არ არიან, ორშაბათს შეუდგებიან მუშაობას სტოკჰოლმის ნავთსადგურში. კარლოგაიდან იუწყებიან, რომ სტამბის მუშებმა, სამუშაოს მიმცემთა წინადადებით, დღეს დაადგინეს, მუშაობა განაახლონ ორშაბათსაო. ქალაქის თვით-მართველობის მუშებმა განაცხადეს, ორშაბათს დავიწყებთ მუშაობასაო. ჰელსინგბორგში დაითხოვეს ტრამვაის მუშები, სულ ყველანი.

**სტოკჰოლმი.** მთავრობამ არ შეიწყნარა გაფიცვის კომიტეტის შუამდგომლობა, ნება მოგვეცით ქუჩებში დემონსტრატიულად გავიაროთო.

ღამე, პოლიციამ ქალაქის რკინის გზის ლიანდაგზე დინამიტით გატენილი ორი პატრონა იპოვა.

თუმცა ზოგიერთ ქარხნების მუშებმა დაადგინეს ორშაბათიდან მუშაობას შეუდგნენ, მაგრამ გოტებორგის, კრისტენენსტადის, ენჩეპინგის და ლიდჩეპინგის სტამბების მუშებმა გადასწყვიტეს გაფიცვა გააგრძელონ. გოტებორგის ნავთსადგურის მუშები მუშაობას შეუდგნენ. სოფლებიდან სანოვაგე საკმაო შემოაქვთ.

**რ უ ს ე თ ი**

**პეტერბურგი.** სამსახურს გარეშე მყოფი, რუსულის სიტყვიერების დოქტორი საზონოვიჩი დაინიშნა ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორად.

სამსახურს გარეშე მყოფი, პოლკოვნიკი ლიახოვი (რომელიც სპარსეთში ყაზახთა ბრიგადის უფროსად იყო) დაინიშნა ბელოსტოკის ქვეითა პოლკის უფროსად.

**ვაზილკოვი.** ბელაია ცერკოვში ცეცხლმა გაანადგურა გლეხის ორასი სახლი. ზარალი ნახევარ მილიონამდეა.

**კერჩი.** საზოგადოებათა საკრებულომ დახურა შვიდი პროფესიონალური საზოგადოება. მიზეზი დაკეტვისა—წესდებების დარღვევა და კანონის წინააღმდეგ მოქმედებაა.

**ორიოლი.** სამხედრო სასამართლო შეუდგა მაქსიმალისტ სოც.-რევოლიუციონერთა ბეჟეცკისა და რადიცკის მფრინავ რაზმის საქმის განხილვას. ბრალდებაში მიცემულია 23 კაცი, დაბარებულია 104 მოწმე. საქმის განხილვა შვიდითდე დღეს გასტანს.

**პეტერბურგი.** ნევაზე, ახალ საადმირალოზე, ახლად აგებულ წყლის ქვეშ მავალ ნავის „დრაკონის“ სამაშინო განყოფილებაში აფეთქება მოხდა. ნავზე მყოფი მეზღვაურნი დაშავდნენ: ზოგნი მძიმედ, ზოგნი—მსუბუქად.

**პსკოვი.** პსკოვის მაზრის სოფელ ტალაბსკში ადგილობრივი მცხოვრებნი თავს დაეცნენ ხოლერიანთა სადგომს, სცემეს ექიმ-ფერშალ-მომვლელთ და ხუთი ხოლერიანი სახლებში წაიყვანეს. სოფელში გუბერნატორი მიდის.

**ტვერი.** 31 ივლისს ნიკოლაევის რკინის გზის ზავიდოვოს სადგურიდან ოთხ ვერსის მანძილზე ვიღაცები თავს დაეცნენ ფოსტას, რომელიც კორჩევში მიდიოდა. მეეტლე და ერთი ფოსტალიონი მძიმედ დასჭრეს, მეორე ფოსტალიონი მსუბუქად. ფოსტა გადარჩა.

**პეტერბურგი.** წყლის ქვეშ მავალი ნავი „დრაკონი“ რომელზედაც დღეს აფეთქება მოხდა აგებულია კერძო გემთ-საშენებელ ქარხანაში. ნავი ქარხანას ჯერ არა ჰქონდა ჩაბარებული. აფეთქება გამოცდის დროს მოხდა. ნავზე იყვნენ ქარხნის ინჟინერი და მუშები, აგრეთვე საზღვაო სამინისტროს ოსტატები. აფეთქების დროს ნავზე მყოფი ნაწილი ცეცხლისაგან დაშავდა, ნაწილი მდინარეში გადისროლა, ესენი ახლო მყოფმა გემებმა გადაარჩინეს. უფრო შესამჩნევად დაშავდა ინჟინერი, 12 მუშა და ერთი ოსტატი. ერთი კაცი, ცეცხლისაგან დაშავებული, საავადმყოფოში გარდაიცვალა.

**ტულა.** დაიწყო მეათე კრება სრულიად რუსეთის ბაღისა და ტყის პატრონებისა. კრება გასტანს ათ აგვისტომდე.

**ვორონეჟი.** შეიპყრეს მძარცველი ბრბო, 27 კაცი, რომელიც ნოვოხოპერის მაზრაში მოქმედებდა. ბრბომ ჩაიდინა ერთი მკვლელობა და 21 მძარცველობა. იპოვნეს საწყობი იარაღისა, პატრონებისა და გრიმებისა. ერთ მძარცველის დედას გატაცებულ ფულიდან ჩამოართვეს 3900 მანეთი.

**ვარშავა.** დილით ჩეხელმა სტუმრებმა გვირგვინით შეამკეს პოეტის მიცკევიჩის ძეგლი, დაესწრნენ წირვას და დაათვალიერეს ქალაქი. ხალხი ყველგან ჩეხებს ყვავილებით ეგებებოდა.

**ლუგანსკი.** პროკოპვიჩის მამულში, სტარობელსკის მაზრაში გლეხებს და ეკონომიის მუშებს ჩხუბი მოუვიდათ. ჩხუბის დროს პროკოპოვიჩის მოურავმა რევოლვერით გლეხი მოჰკლა.

**ვარშავა.** პირველ აგვისტოს ჩეხებმა ინახულეს ვილიანოკები და სასახლე დაათვალიერეს. ჩეხელ სტუმრებს სასახლის ეხლანდელ პატრონმა გრაფ ბძანიცკიმ საუზმე გაუმართა. საღამოზე ჩეხელების პატივსაცემლად ვაჭრების კლუბში ნადიმი გაიმართა. ნადიმს დაესწრო 400 კაცი. წარმოსთქვეს რამდენიმე სიტყვა.

**ლოდძი.** სულ მთლიანად დაიწვა ინჟენერ ელინის და კომპანიის საქსოვი ქარხანა. ზარალი 40,000 მანეთს უდრის.

**ვილნო.** გაიხსნა დასავლეთ-რუსეთის ძმობების წარმომადგენლების მეორე კრება. კრების მიზანია—მოაწყოს ძმობები, გააუმჯობესოს მათი სამისიონერო, საგანმანათლებლო და საეკონომიო მოქმედება. კრებაში მონაწილეობას იღებენ ერთი გუბერნიის ძმობების წარმომადგენელნი. ჩამოვიდნენ პოდოლიის ეპისკოპოსი სერაფიმე, კოვენის—ვლადიმერი და სახელმწიფო სათათბიროს მემარჯვენე დეპუტატები ზამისლოვსკი, ტირინინი და იურკევი. კრება გახსნა ნიკანდრმა. მან თავის სიტყვაში აღნიშნა ძმობების ისტორიული მნიშვნელობა დასავლეთ რუსეთში და სთქვა, რომ ძმობების მოქმედებას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიან, მათ შეუძლიან აღაღორძინონ მართლმადიდებელთა და განამტკიცონ ეროვნული თვითშეგნებაო. მთავარ-ეპისკოპოს ნიკანდრის სიტყვის შემდეგ დამსწრეებმა რამდენიმე სიტყვა წარმოსთქვეს. ამათ აზრით თავი უნდა მოიყარონ ეკლესიის გარშემო დაიცვან რუსეთის ხალხი იდეალები და ქრისტეს მოძღვრების მიხედვით ებრძოლონ მტრებს. სინოდის განკარგულებით კრებაში მონაწილეობას იღებს მისიონერი სკვარცოვი, ელიან ეპისკოპოს ევლოგის და მიხეილს. ეპისკოპოსი ევლოგი კრებამ თავმჯდომარის ამხანაგად აირჩია.

**ხ ო ლ ე რ ა**

**პეტერბურგი.** 1 აგვისტოს ხოლერით ავად გახდა 32, გარდაიცვალა 8, ავად იყო 398 კაცი. 2 აგვისტოს ავად გახდა 24, გარდაიცვალა 10, ავად იყო 392 კაცი.

**არხანგელსკი.** ქალაქში ავად გახდა 2, გარდაიცვალა 4 კაცი. მაზრაში ავად გახდა 19, გარდაიცვალა 13 კაცი.

**ეკატერინბურგი.** ტიუმენში ავად გახდა, გარდაიცვალა 3 კაცი.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** ქალაქში ერთი კაცი გახდა ავად.

**ნოვგოროდი.** განვლილ კვირაში ქალაქში ავად გახდა 2, გარდაიცვალა 2. გუბერნიაში სულ ავად გახდა 19, გარდაიცვალა 17 კაცი.

**პოლტავა.** გადიაჩის მაზრაში ავად გახდა 19, გარდაიცვალა ხუთი. კრემენჩუგში ავად გახდა 1 კაცი.

**იაროსლავი.** იაროსლავსა და მაზრაში ავად გახდა 6, გარდაიცვალა 2. რიბინსკსა და მაზრაში ავად გახდა 4 კაცი.

**პლოცკი.** 29 ივლისიდან 1 აგვისტომდე ავად გახდა 33, გარდაიცვალა 11 კაცი.

# ახალი ამბავი

**ტ ფ ი ლ ი ს ი**

✦ **რუსეთიდან მოხელეების მოწვევა.** როგორც ვიცით, ყოველ საშუალებას ხმარობენ, რომ კავკასიაში სახელმწიფო დაწესებულებათა მოხელეებად რუსები დაინიშნონ. რუსეთიდან მოხელეების მოსაწვევად არსებობს განსაკუთრებული შეღავათიანი პირობები, მაგ., სამსახურში მალე აწინაურებენ, ყოველ 5 წლის შემდეგ ჯამაგირს უმატებენ და სხვა. არა რუსებს, განსაკუთრებით ამ ბოლო დროს იშვიათად იღებენ. ამ საკითხის გამო თათბირიც იყო ამ რამდენიმე ხნის წინად. თათბირს შედეგად ის მოჰყვა, რომ ამ დღეებში საჴელმძღვანელოდ ცირკულიარული მოწერილებანი დაურიგდათ მთავრობის დაწესებულებათა უფროსებს. ამ ცირკულიარით, გარდა აქამდე არსებულ შეღავათებისა, რუსეთიდან მოსულ მოხელეთ სხვა უპირატესობანიც ენიჭებათ. სხვათა შორის, ამ ცირკულიარით გაადვილდა მოხელეთა დანიშვნა. წინად, ვინც რუსეთიდან მოისურვებდა გადმოსვლას, ნებართვა პეტერბურგიდან უნდა მიეღო და საქმე მიწერ-მოწერით რთულდებოდა. ეხლა კი რუსეთიდან გადმოსვლის მსურველი პირდაპირ ნამესტნიკის კანცელარიისაგან მიიღებს ნებართვას.

✦ **მღვდლის გძელიშვილის დაპატიმრება.** როგორც ვწერდით, სახელმწიფო ბანკის ტფ. განყოფილებაში 31 ივლისს საეპარქიო სანთლის ქარხნის ზედამხედველს მღვ. გძელიშვილს მოჰპარეს ქარხნის ფული 6520 მან. და საკუთარი 300 მანეთიო. პოლიციას ეჭვი მიუტანია თვითონ მღ. გძელიშვილზე და გუშინ კიდეც დაუპატიმრებიათ იგი. როგორც გავიგეთ, მღ. გძელიშვილი წინა დღეს მისულა ბანკის განყოფილებაში და განუცხადებია სურვილი აღნიშნულ 6570 მანეთის გამოტანისა. ეს ფული მღვდელს შემნახველ კასაში უნდა შეეტანა მიღებისათანავე და ამიტომ ბანკში უთქვამთ: რად გინდათ ამ ფულის მიღება, უმჯობესი არ იქნება, განცხადება შემოიტანოთ, რომ ჩვენ თითონ გადავიტანოთ იგი შემნახველ კასაშიო. მღვდელს მაინც განუზრახავს ფულის მიღება, მაგრამ რადგან ზოგი საბუთი ხელთ არა ჰქონია, შინ დაბრუნებულა და ფულის მისაღებად მისულა 31 ივლისს. პოლიციის ცნობებით მღ. გძელიშვილს ამ დღეს ბანკში შეჰყოლია ვიღაც კაცი, მისი ნაცნობი. ეს კაცი ბანკში აღარ აღმოჩნდა მაშინ, როდესაც მღვდელმა ფულის დაკარგვა გამოაშკარავა. პოლიციამ, მღ. გძელიშვილის გარდა, კიდევ რამდენიმე კაცი დააპატიმრა.

✦ **ლეონიდის გადაყვანა.** „ბაკუ“-ს ტფილისიდან დეპეშითატყობინებენ: სინოდის მიერ დანიშნულმა რევიზორმა დაამთავრა გურიის ეპარქიის რევიზია. გურიის ეპისკოპოსი ლეონიდი შიდა რუსეთში გადაჰყავთ.

✦ **ჩხრეკა.** გუშინ დილის, 9 საათზე, პატრულმა შეჰკრა იარმუკა და შეუდგა ჩხრეკას. ვისაც პასპორტი არ აღმოაჩნდა დააპატიმრეს.

✦ **მიწა სოფელ შინდისს.** მთავრობამ შეიწყნარა სოფელ შინდისის (ტფ. მაზრა) გლეხთა შუამდგომლობა, რომ მათ დამატებით ნადელად მიეცეთ 61 დესეტინა მიწა მალაშებში და ტაბარებში.

✦ **მოტყუებული ქალები.** რიგაში სავაჭროდ ყოფილა ქართლის მცხოვრები ანდრია ივანეს ძე ჯაბაური. რიგაში მას გაუცვნია 2 გასათხოვარი ქალი, გიმნაზიის მოსწავლე, ლიუცია სუკი და ანნა დალბერგი, 17-18 წლისანი. ქალები დაურწმუნებია, რომ აქ ტფილისში მათ სამსახურს უშოვნიდა, და წამოუყვანია. როცა ქალების დედმამას ეს ამბავი გაუგიათ, დეპეშით უცნობებიათ ტფ. პოლიცმეისტრისთვის, ჯაბაურმა ცუდის განზრახვით წამოიყვანა ტფილისისაკენ ჩვენი ქალები და მიიღეთ ზომებიო. პოლიცმეისტრის განკარგულებით ტფილისში მალე იპოვნეს ჯაბაური და ხსენებული ქალები. პოლიცია შეუდგ იმის გამოძიებას, თუ რა განზრახვით წამოიყვანა ჯაბაურმა ქალები.

✦ **სალიტერატურო საღამო** 20 ივლისს თელავში ილია ჭავჭავაძის ფონდის სასარგებლოდ ქალთა წრეს გაუმართავს სალიტერატურო საღამო. საღამოს წმინდა შემოსავალი 107 მანეთი საზოგადოებამ უკვე მიიღო.

✦ **უპასპორტოები** 2 აგვისტოს საღამოთი ... ჩხრეკის დროს დააპატიმრეს 30 უპასპორტო კაცამდე და პირველ ნაწილში კიდევ 27 კაცი.

✦ **ზუბალაშვილის სახელობის საავადმყოფო.** 9 აგვისტოს ჩაჰყრიან საძირკველს ზუბალაშვილის სახელობის ბავშვთა საავადმყოფოსას. როგორც ვიცით, ამ საავადმყოფოსთვის ზუბალაშვილებმა ქალაქს ასი ათასი მანეთი შესწირეს.

✦ **გზა მამა-დავითის ეკლესიაზე.** მრავალ თხოვნის შემდეგ, ქალაქის გამგეობამ როგორც იქნა გადასწყვიტა, შეაკეთოს ის გზა, რომელიც მამა-დავითის ეკლესიაში მიდის. ეს საქმე მიენდო ქალაქის ტეხნიკოსს ალაჯიანს.

✦ **ჩ. მოხრჩობა.** კავკასიის სამხედრო სასამართლომ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა გორის მაზრის გლეხს ოსს იოსებ კუხაშვილს, რომელსაც ჰბრალდებოდა ყაჩაღობა, ეკლესიის გაცარცვა და ეკლესიის დარაჯის მოკვლა.

✦ **ეგზეკუცია.** ამას წინად ვიღაც ბოროტგანიზრახველებმა ბაკურიანის ხეობაში სოფ. ცემში მოჰკლეს სტრაჟნიკი, მკვლელები ვერ აღმოაჩინეს. სოფელს ეგზეკუცია ჩაუყენეს ცემელებს წარმომადგენელი გამოუგზავნიათ გუბერნატორთან: სთხოვენ მოხსნას ეგზეკუცია.

✦ **ქართული რეკლამები.** წერა-კითხვის საზოგ. მთავარმა გამგეობამ მიიღო პასუხი ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა, ქუთ. ქართულ გიმნაზიისა, ჭიათურის საურთიერთო ბანკისა და ქუთაისის ქალაქის გამგეობისაგან, რომ ეს დაწესებულებანი თანახმანი არიან გამოიწერონ ქართული რეკლამები და სთხოვენ გამგეობას, შეუკვეთოს ფირმასაო.

**უბნის ზედამხედველის მოკვლის გამო.** უბნის ზედამხედველის ნოდის მკვლელობისთვის ეჭვით დააპატიმრეს ანტონ ჰანტურია.

✦ **დარჩენილი მამულები.** 31 ივლისს მოხდა ხელ-მეორედ საჯარო ვაჭრობა ტფ. სათავად-აზნაურო ბანკში წინა ვაჭრობაზე გაუყიდველ მამულების გასასყიდად. ბანკს დარჩა წელს ტფილისში 12 მამული, კავკასიის სხვა ქალაქებში —20 მამულამდე.

# ეროვნება, ენა და ესთეტიური კულტურა

ეროვნება არის სული, ფსიხიური პრინციპი. **რენანი.**

ეროვნება არის ადამიანთა განსაზღვრული რიცხვი, შეკავშირებული სისხლის ნათესაობით, დედა-ენით და შემოქმედ გენიოსობით, განმზადებული მჭიდრო სოციალურ ერთეულის შესაქმნელად. **მამიანი.**

**1.**

იმ საკითხს, რომლის გადაწყვეტასაც ჩვენ აქ ვცდილობთ, ძლიერ დიდი, თითქმის შეუდარებელი მნიშვნელობა აქვს არა მარტო სოციალურ თეორიისა და პრაქტიკისათვის, არამედ საზოგადო მსოფლიო მხედველობისთვისაც: არსებობს თუ არა პიროვნების გარეშე და მასზე მაღლა სოციალური ერთეული, კერძოდ, ეროვნება, როგორც შემომქმედი ფსიხიური რეალობა და ეთიური ღირებულება, თუ როგორც პირველი, ისე მეორე მხოლოდ და სავსებით პიროვნებას უნდა მივასაკუთროთ? ამ საკითხსაც თავისი საკუთარი, საყურადღებო ისტორია აქვს: ჩვენ მხოლოდ უმნიშვნელოვანეს მომენტებზე შევჩერდებით.

საშუალო საუკუნოების ქრისტიანულ აზროვნებისთვის მხოლოდ ორი ჭეშმარიტი რეალობა არსებობს: პიროვნება და მსოფლიო სამოციქულო ეკკლესია. პირველის ეთიური ღირებულება განსაზღვრულია: იგი სრული არარაობაა ეკკლესიის გარეშე; მეორეს, პირიქით, აბსოლიუტური და დამოუკიდებელი ფასი და მნიშვნელობა აქვს. ყოველი სხვა და სხვაობა, რომელიც გამომდინარეობს ენის, ეროვნების, სახელმწიფოს, ისტორიულ ბედის, ეთნიურ და გეოგრაფიულ პირობებისაგან და ხელს უშლის ეკკლესიას აღასრულოს თავისი უნივერსალური დანიშნულება, უნდა უარყოფილ იქმნას, როგორც ცთომილ პრინციპის ნაშობი. განსაკუთრებით დამახასიათებელია ორტოდოქსალურ ქრისტიანობის შეხედულება ეროვნებასა და ენაზე, რომელიც არა ერთხელ გამოთქმულა სასულიერო წოდების მიერ ნაციონალურ ტენდენციების გაძლიერების ხანაში. (უკანასკნელად, თუ არა ვცდებით, ავსტრო-ჰუნგრეთის პრელატების მიერ 1851 წლის კრებაზე): ეროვნული მისწრაფებანი სატანის საქმეა, „ენის სხვა და სხვაობა შედეგია ბაბილონის გოდოლის შენებისა“ (სიტყვა სიტყვით), ღვთისგან მოვლენილი კაცობრიობის დასასჯელად და იმის ზეკაცურ, ამაყ ლტოლვათა ასალაგმავად; არც ერთს, არც მეორეს ადგილი არ ექმნება ქრისტეს მომავალს სასუფეველშიო.

რაციონალისტურმა ფილოსოფიამაც კი, რომელიც მეთექვსმეტე საუკუნის დასასრულამდე ქრისტიანულ პიროვნების ოპოზიციაში განვითარდა და განმტკიცდა, არსებითად შეინარჩუნა უარყოფითი შეხედულება ეროვნებაზე. ამ ფილოსოფიისათვის ერთად-ერთი ჭეშმარიტი და ძვირფასი რეალობა პიროვნებაა, პიროვნება არა როგორც **სუბიექტი** დამოკიდებული და განსაზღვრული სოციალურ ობიექტის მიერ, ორგანიულად შეკავშირებული სოციალურს ერთეულთან, საზოგადოებრივ წრესთან, წოდებასთან, ეროვნებასთან, სახელმწიფოსთან, არამედ განყენებული, აბსოლიუტურად დამოუკიდებელი **ინდივიდუუმი**, გასაგები თავისისავე თავის ფარგლებში, ყოველივე ისტორიულად აღმოცენებულ პირობის გარეშე მდგომარე.

რაციონალისტური მსოფლიო მხედველობა შეეცადა, გაენთავისუფლებინა პიროვნება გარეშე ძალთა მაბეზარ მზრუნველობისაგან, აღეარებინა იგი სრულ-წლოვანად და დაეყენებინა საკუთარს ფეხზე; დაემტკიცებინა, რომ მას გარდაუვალი და დამოუკიდებელი ღირებულება აქვს, რომ იგი დიადია და მშვენიერი, ან ძლიერი და გონიერი. ამ ცდამ ის ფილოსოფია უკიდურესობამდე მიიყვანა: მან შეჰქმნა უსისხლ-ხორცო აბსტრაქცია პიროვნებისა, სინამდვილის აჩრდილი, რომელიც მხოლოდ „განათლებულ“ ფილოსოფოსთა აზროვნებაში არსებობდა. ეს ჰიპოტეტიური პიროვნება დეკარტთან ერთად უკიდურესის სკეპტიციზმით იწყებს: მას ეჭვი შეაქვს ყველგან და ყველაფერში, ეჭვობს ღმერთის, გარეშე ნივთების, თავის მსგავსს არსებათა, თვით თავისისავე თავის არსებობაში; სცდილობს განთავისუფლდეს დახავსებულ დოგმატებისა და წინასწარ აზრებისაგან. მთელს ამ პროცესში იმისთვის ერთად-ერთი ფაქტი რჩება შეურყევლად: ისა, რომ იგი აზროვნებს, აზროვნებს მაშინაც კი, როცა ეჭვიანობს და უარჰყოფს: აზროვნებს, მაშასადამე, არსებობს. ამის შემდეგ თავისისავე თავის არსებობაში ღრმად დარწმუნებული, იგი უცნაურს თავგადასავალს განიცდის: ჰობესთან ერთად ის იგნებს, რომ ველური მდგომარეობა საყოველთაო, შეუჩერებელ ომიანობისა მისთვისავეა საზარალო, სდებს პირობას სხვა მისსავით დამოუკიდებელ და თავისუფალ პირებთან და ჰქმნის სახელმწიფოს, რომელზედაც გადააქვს თავის ნებისყოფის ნაწილი და რომლის სასარგებლოდაც ერთხელ და სამუდამოდ ზღუდავს თავის უსაზღვრო თავისუფლებას. შემდეგ ჰერდერთან ერთად იგი ჰხედავს, რომ საჭიროა იარაღი თავის აზრებისა და გულის ნადების გამოსათქმელად და სხვებისთვის გადასაცემად და ამ მიზნით იგი „სრულიად ბუნებრივად იგონებს ენას“*). ლეიბნიცთან ერთად იგი თავის თავს და მთელს სამყაროს მონადათა სისტემად აღიარებს, აბსოლიუტურად დამოუკიდებელ სულიერ სუბსტანციად, რომელსაც არც კარი აქვს, არც სარკმელი, ყველა იდეა დაბადებიდანვე აქვს თანდაყოლილი და მთელს თავის ქვეყნიერებას თავისისავე არსების სიღრმიდანა შობს.

ის, რაც დეკარტმა, ჰობბესმა და ლეიბნიცმა ღრმად და ორიგინალურად გამოსთქვეს, მეთვრამეტე საუკუნის მატერიალისტებმა და განმანათლებლებმა ზეზეურად და კიდევ უფრო ცალმხრივად განიმეორეს. „მათ უყურადღებოდ დასტოვეს ყველა ის განმასხვავებელი თვისება, რომელიც ერთს ადამიანს მეორისაგან ჰყოფს და დაიტოვეს მხოლოდ ის ნაკვთები, რომელნიც ყველასათვის საერთოა. ეს დანარჩენი წარმოადგენს „ადამიანს საზოგადოდ“ ანუ სხვა სიტყვებით: „მგრძნებიარე გონიერ არსებას, რომელიც ტანჯვას გაურბის და სიამოვნებას ელტვის“ და ამიტომ „ეძიებს ბედნიერებას, ე. ი. ისეთს მდგომარეობას, რომელშიაც კმაყოფილება სჭარბობს უსიამოვნებას“, ანუ კიდევ უკედ: „მგრძნებიარე არსებას, რომელსაც ძალუძს გონივრულად იმსჯელოს და მორალური ცნებები შეადგინოს“... ასეთია ინდივიდუალური ერთეული; თუ რამდენსამე ასეთს ერთეულს შევაერთებთ—ასს, ათასს, ერთს მილლიონს, ოცდა ექვსს მილიონს—მივიღებთ საფრანგეთის ერს“ (იპ. ტენი: „წარმოშობა თანამედროვე საფრანგეთისა“, ტ. 1, წიგ. 3, თავი 4).

ასეთია პოპულიარულ რაციონალიზმის შეხედულება ეროვნებაზე: როგორც კარტოფილის გროვა სწორედ კარტოფილის გროვაა და სხვა არაფერი, ისე ეროვნებაც განცალკევებულ პიროვნებათა აგრეგატია, ხელოვნური ან შემთხვევითი შეჯგუფება და მას არც ერთი თვისება არა აქვს ისეთი, რომლითაც თვითეული წევრიც არ იყოს აღჭურვილი. ესაა უკიდურესი ატომისტური შეხედულება ეროვნებაზე, მახლობელი ნათესავი ჰობბესის „ხელშეკრულების თეორიისა“. ამ უკანასკნელისთვის ერთად-ერთი რეალობა სხეულია: სული ფანტასმაა, აჩრდილი სინამდვილისა. ეროვნებას არ შეუძლიან იარსებოს როგორც მხოლოდ სულიერს ერთეულს, როგორც ფსიხიურს ორგანიზმს: ეს ეწინააღმდეგება მატერიალისტურს დოგმას. ეროვნება არ არსებობს როგორც მატერიალური ორგანიზმი: ამას გვიმტკიცებს ყოველდღიური გამოცდილება,—ვერსად ვერა ვხედავთ ეროვნების მატარებელ სხეულს, როგორც ორგანიულს ერთეულს, რეალურ ინდივიდუუმის მსგავსს. მაშასადამე, ეროვნება არ არის ჭეშმარიტი რეალობა, იგი გარეგნულად, შემთხვევით შეზავებულ ატომთა ჯგუფია, რომელთაგან თვითეული სხვისდა მიუხედავად თავის დამოუკიდებელს ცხოვრებას განაგრძობს; რადგან არც ერთი ძაფიც არ არსებობს, რომელიც მას ორგანიულად ერთს რომელსამე ასეთს „ეროვნულს აგრეგატთან“ აერთებდეს, ამიტომ მას ადვილად შეუძლიან გამოვიდეს ერთის მათგანის წრიდან და მეორეში გადავიდეს, თუ კი ამას თავისთვის სასარგებლოდ სცნობს.

ყოველი სხვა და სხვაობა, რომელიც გამომდინარეობს ეროვნულ ენის, რასსობრივ ხასიათის, ისტორიულ თავგადასავალის, ზნე-ჩვეულების, ხელოვნების, მსოფლიო მხედველობის და სარწმუნოების განსხვავებისაგან, უარყოფილია, როგორც ისეთი რამ, რასაც არ შეუძლიან თავი გაიმართლოს რაციონალიზმის უდიდეს სამსჯავროს—გონების წინაშე. მთელი ეს სხვა და სხვაობა ნაშთია უარყოფილ წარსულისა, იმ „ბნელ წარსულისა“, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო განათებული რაციონალისტურ და განმანათლებელ ფილოსოფიის შუქით. რაციონალიზმის აღმოცენება-

*) ჩვენ აქ სახეში ახალგაზრდა ჰერდერი გვყავს, ავტორი „ენის წარმოშობისა“. შემდეგში ჰერდერი თავის „ისტორიის ფილოსოფიის იდეებში“ იმ აზრს დაადგა, რომ ენა ღვთაებრივის შემოქმედების ნაყოფია.

დეპ. ბანკს დარჩა, სხვათა შორის, აზოვის აბანო, საკომერციო სასწავლებლის პირდაპირ, რიყის ქუჩაზე, ადგილი და აბანო ბანკში 100,000 მანეთად ყოფილა დაგირავებული.

✦ **პატრონები.** „რუსკ. სლოვო“-ს ფელდლისიდან დეპეშით ატყობინებენ: ერთ ქართველ მკალავის სახელოსნოში პოლიციამ აღმოაჩინა 4,000 თოფის პატრონი როგორც გამოირკვა, პატრონები კავკასიაში უნდა გაეგზავნათ.

✦ ბაგრატიონის ქუჩაზე 1 აგვისტოს ერევნელ სისაკა შახნაზაროვს, აფთიაქის ნოქარს, თავს დასცემია ორი უცნობი და რამდენჯერმე რევოლვერი დაუხლია. დაჭრილ შახნაზაროვსაც უცნობებისათვის ხუთჯერ უსროლია რევოლვერი, მაგრამ აუცდენია. ამ საქმის გამო ეჭვით დააპატიმრეს ბადასარ პეტროსიანცი და ტერ-აიზაპეტოვი, რომელნიც თავ-დამცემებად იცნეს.

✦ 1 აგვისტოს პოლიციის მე-7 ნაწილში დააპატიმრეს გიორგი გოგინაშვილი და გიგო მრატიაშვილი, რომელთაც ბრალდებათ პეტროს ტერ-ნასკანოვის მოკვლაში მონაწილეობის მიღება.

✦ ტფ. გუბერნატორის განკარგულებით სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის დაჯარიმებულ იქმნენ: ნიკოლოზ გაბ. ნაცვალიშვილი—3 მან., გიორგი კანდელაკი და მიხეილ სულიევი—სამ-სამი მანეთით.

✦ 2 აგვისტოს პოლიციის მე-10 ნაწილში დააპატიმრეს იოსებ ბასენკო, რომელიც საგენერალ-გუბერნატოროდან გადასახლების შემდეგ თავის ნებით დაბრუნებულა ტფილისში.

✦ 1 აგვისტოს ავლაბარში დააპატიმრეს იოსებ ოსიკაშვილი და არჩილ ბერიაშვილი, რომელთაც ჰბრალდებათ მეეზოვე პერუგანოვის დაჭრა.

# მოწერილი ამბები

**მეჯვრისხევი** (ქართლი). როგორც სხვა ქართლის სოფლები, ესეც ძალიან შეაწუხა გვალვამ. თიბათვის აქეთ ნამი აღარა დირსებია მოსავალს, გადიწვა მინდორი, უარესი დაემართა ურწყავებს. აქაური ხალხი ურწყავში პურის კარდა სიმინდსაც სთესავენ და თუ ნამიანი წელიწადი შეესწრო, კარგი მოსავალიც იცის. მაგრამ წელს სარწყავშიაც უჭირს სიმინდს, გვალვის გამო, ურწყავი აბა რადა სახსენებელია.

ს. მეჯვრისხევს და ახლო-მახლო სოფლებს ჩამოუდის მდინარე მეჯუდა, რომელიც ზაფხულობით ძალიან კლებულობს. უწვიმობის გამო ყანებიც კი რამდენჯერმე მორწყეს; რწყავენ სიმინდებსაც, მაგრამ დიდი დავიდარაბით, ჩხუბით და თავპირის მტვრევით. საქმე იქამდის მივიდა, რომ მზამზარეულ მოხნულ, გათოხნილ სიმინდს სანახევროდ იძლეოდნენ, ოღონდ კი მოსარწყავი წყალი დაეთმოთ. შეწუხებულმა და გაჭირვებულმა გლეხკაცმა ისევ ძველ მამა-პაპურს ჩვეულებას მიჰმართა—ლოცვა-ვედრებას. „დროებაში“ უკვე იყო მოხსენებული, რომ 24 მკათათვეს ახლო-მახლო სოფლის დედაკაცები შეგროვდნენ რიყეზე, შეაბნენ გუთანში რვა უღლად. მეხრეებად ახალ-გაზდა ბიჭები დასხეს და ეს მძიმე გუთანი მეჯუდის წყალში ატარ-ჩაატარეს ლოცვა-ვედრებით. 25 მკათათვეს მოვიდა მშვენიერი წვიმა; თითქოს მათი რწმენა და ლოცვა-დიდება დააკმაყოფილა. ეს წვიმა ცის მანანასავით მოევლინა სიმინდებს, გაყვითლებული და თავ-ჩაქინდრული, გაადადანა, აამწვანა. მაგრამ ყანების მოსავალი კი ვეღარ გამოაბრუნა, მაგალითად ღომის, ხახვი და სხვა. ეს წვიმა, რასაკვირველია, არ იყო საკმაო.

ზემო აღწერილ ამბით გამხნევებულმა სოფლელებმა ახლა სამღთო შეუთქვეს. 27 მკათათვეს ასს დედაკაცზე მეტი, რადგან კაცები მინდვრად არიან გასულნი და არა სცალიანთ, შეგროვდა, მოიწვია სამი მღვდელი და უვედა ეკკლესიაში გადაახდევინა პარაკლისი. მერე ხატებით, ჯვრებით, დროშებით შემოუარეს მთელ სოფელს, დაჭკლეს რამდენიმე ცხვარი და გადაიხადეს სამღთო. თითქო განგებ იყოსო, ნაშუადღევს მოვიდა კოკისპირული წვიმა და დააბუყბუყა სიმინდები. ყანები უკვე დამკილ და იღეწება; გამოსავალი, თუმცა ნაკლებია, მაგრამ სამაგიეროდ მარცვალი სხვილია და გარჩეულიგით. ვენახებს არა უჭირთ-რა, თუ მარიამობის თვე ნამიანი იქნება, მარცვალი უფრო დამსხვილდება. ხილი ძალიან ნაკლებად არის. თუ არ ისევ ქსხალი და ვაშლი. წვრილ ხილს და ტკემლს არ ასხია.

ს. მეჯვრისხევს უწინ უფრო სიცოცხლე ეტყობოდა, მოზარდი თაობა ზაფხულობით მართავდა წარმოდგენებს, კონცერტებს. იყო სამკითხველო, სადაც რამდენიმე ასი წასაკითხი წიგნი მოიპოვებოდა. წიგნთ-საცავისთვის დაქირავებული ოთახი ჰქონდათ, სამკითხველოში იყო სტოლი, სკამები, დამფა, მშვენიერი კედლის საათი და კიდევ სხვა. სცენისთვის ჰქონდათ დეკორაცია, ფარდა. ყველა ეს შეიძინეს საქველმოქმედო წარმოდგენების გამართვით, ფულის მოგროვებით, მაგრამ დღეს რომ მოიკითხოთ, ვეღარაფერს იპოვით. სად დაიღუპა ყველა ეს, ვის ხელშია აღდგომა უწყის!

სძინავს ს. მეჯვრისხევის საზოგადოებას, მას არც წარსული და არც მომავალი არ აინტერესებს. თიბათვეში გამოჩნდა ორიოდე კაცი, უნდოდათ დაედგათ წარმოდგენა, თითქოს ემზადებოდნენ კიდეც, სცენას მართავდნენ. გვესიამოვნა რომ გავიგეთ ეს. მაგრამ მოვსტყუვდით. მოთავენი იმდენად მოუმზადებელნი გამოდგნენ, რომ ნებართვაც კი ვერ აიღეს თავის დროზედ, რასაკვირველია, წარმოდგენაც მოუცდათ. დასასრულ რა მოხდა? ძალიან უსიამოვნო ამბავი: ერთ მოთამაშეთაგანს მოუვიდა ჩხუბი ღვინის სმის დროს და ხელი მოსტეხეს. ამ რიგად, კომედია დრამით გათავდა.

**მთხული.**

# საყოველთაო გაფიცვა შვეციაში

3,000 შტრეიხბრეხერის (გაფიცვის გამტეხი) შენახვა უკვე 2 მილიონ კრონამდე დაუჯდა მრეწველთა კავშირს, ხოლო გაფიცვის კომიტეტისთვის ჯერ არც ერთს გაფიცულ მუშას არ უთხოვნია დახმარება.

მრეწველთა კავშირმა ბერლინის ბანკებს დახმარება სთხოვა.

გულიდან (ინგლისიდან) შვეციაში გემებით მოჰყავთ ინგლისელი მუშები. ინგლისის ვაჭრობის სამინისტრომ, გაიგო თუ არა ეს ამბავი, გააფრთხილა ინგლისელი მუშები, რომ შვეციაში საფრთხე მოგელით, რადგან იქ გაფიცულ მუშების მაგივრად უნდა გამუშაონო. ამის შემდეგ ინგლისელმა მუშებმა, რომლებიც გემების დასატვირთად და დასაცლელად მიჰყავდათ შვეციაში, უარი განაცხადეს წასვლაზე.

სოფლის მუშათა კავშირმა ესკილსტუნგის ოლქში გამოაცხადა, რომ სოფლის მუშებმა გაფიცვა მკის დროს უნდა დაიწყონო.

ეშინიათ, ვაი თუ სხვა ოლქებმაც მიჰბაძონ ამ ოლქსაო; სოფლის მუშების გაფიცვა მკის დროს ბევრს მეურნეს გააკოტრებსო.

ქალ. ფალუნში, სტოკჰოლმის ჩრდილოეთით, ჯარის კაცებმა მოახდინეს დემონსტრაციები და თანაგრძნობა გამოუცხადეს სოციალ-დემოკრატებს. 200 ჯარის კაცმა, თუმცა სასტიკად იყო აკრძალული ყოველი ლაპარაკი, ხმა მაღლა ლაპარაკი დაიწყო მუშების საყოველთაო გაფიცვაზე და მერე შემოსძახა „მარსელიეზა“ და „ინტერნაციონალი“. ჯარის კაცები დაატუსაღეს და სამხედრო სამართალში მისცეს.

ასეთივე ამბავი მოხდა სოლფტეშიაც, ჩრდილოეთ შვეციაში.

მუშები წინანდებურად სამაგალითო წესიერებას იცავენ, პოლიცია უსაქმოდაა. ეგაა გაფიცვა გრძელდება და უკიდურეს მიმართულების მუშებს მოთმინება ელევათ. ეგრედ წოდებული „ახალგაზდა“ სოციალისტები უფრო გაბედულ მოქმედებას თხოულობენ.

„რუს- სლოვო“-ს კორესპონდენტი იუწყება სტოკჰოლმიდან—29 ივლისის თარიღით:

„დღეს მუშები ცუდ გუნებაზე არიან. მათ ორ მხრივ სჭირდებათ ბრძოლა: ერთის მხრივ მრეწველთა ძლიერ კავშირთან, რომელსაც რვა მილიონი აქვს თავის წევრების დასახმარებლად, მეორე მხრივ—უკიდურეს მუშებთან, რომლებიც გაბედულ, ფიცხ მოქმედებას მოითხოვენ.

პესიმისტები მუშების დამარცხებას წინასწარმეტყველებენ, ამ წამს მუშებმა დიდი კრება მოახდინეს ტაქტიკაზე მოსალაპარაკებლად და შესაძლებელია, შესცვალონ ტაქტიკა.

ერთმა მუშამ რევოლვერი ესროლა მრეწველთა კავშირის მილიციონერს და მძიმედ დასჭრა იგი. აქვს კავშირი ამ სროლას საყოველთაო გაფიცვასთან, თუ არა,—ეს ჯერ გამოკვლეული არაა.

# სპარსეთი

**ახალ შაჰის მანიფესტი.**

გამოაცხადეს ახალ შაჰის ახმედ-მირზის მანიფესტი, რეგენტის სახელობაზე დაწერილი. ახმედ-მირზა შაჰი ჯერ დიდს მადლობას უცხადებს ხალხს შაჰად არჩევისთვის და შემდეგ განაგრძობს:

„მე თუმცა ჯერ სულ უცოდინარი ბავშვი ვარ, მაგრამ მაინც მშვენივრად ვიცი, რომ თავისუფლება ყველაზე მეტად ძვირფასია ამ წუთის-სოფელში. როდესაც კონსტიტუციის შინაარსი ამიხსნეს, მე გულწრფელად შემიყვარდა იგი და სიტყვა „კონსტიტუცია“ აღარ მავიწყდება. ამას იქით მთელი ჩემის ძალითა და გონებით ვეცდები, რომ სპარსეთის ხალხმა ადამიანურად იცხოვროს“.

**დროებითი მეჯლისი და სამინისტრო.**

სპარსეთის დროებითმა მეჯლისმა რომელსაც ჰკუაში არ მოსდიოდა სამინისტროს მძიმე მოქმედება, გადასწყვიტა, ორი კომიტეტის დაარსება: ერთს მათგანს მიეცემა აღმასრულებელი უფლება, ხოლო მეორეს საკანონმდებლო; სამინისტროს ხელში აღარაფერი საქმე აღარ იქნება, იგი მხოლოდ ფორმალურად იარსებებს („ბ.“).

**შირაზის გუბერნატორი.**

შირაზის გუბერნატორად დანიშნეს სამედ-დოულე, არდებილის გუბერნატორად ნამყოფი. ბევრი უკმაყოფილო დარჩა ამ დანიშვნით: სამედ-დოულე სუსტი ხასიათის კაცია და აღელვებულ შირაზის გუბერნატორად არ გამოდგებაო.

# ოსმალეთ-საბერძნეთის დავა

**საქმე ხელახლად გამწვავდა.**

საბერძნეთ-ოსმალეთის დავა ხელახლად გამწვავდა. საბერძნეთის ახალი ნოტა მკაცრ კილოზე შედგენილი საბერძნეთის ელჩი სტამბოლში დიდ ვეზირს ხილმი-ფაშას ესაუბრა; საუბრის შემდეგ მან სთქვა: მდგომარეობა სერიოზულიაო.

ოსმალეთის მინისტრთა საბჭოში სამხედრო და საზღვაო მინისტრებმა განუცხადეს: საქმეს მარტო ომი გადასწყვეტს; ჯარსა და ფლოტს ომი ჰსურთ და ჩვენ არ შეგვიძლიან ეს სურვილი დუხშოთო.

ამ თათბირის შემდეგ ელჩებმა თავიანთ მთავრობებს დეპეშით შეატყობინეს: მდგომარეობა სერიოზულიაო. მოელიან, რომ სახელმწიფოები ახალ ნოტას ჩააბარებენ და კიდევ ერთხელ გააფრთხილებენ ოსმალეთსაო.

ხმა დადის, რომ მფარველი სახელმწიფოები ფლოტით დემონსტრაციას მოახდენენ სალონიკის ახლო ზღვაშიო.

საქმეს უფრო ის აჰირვებს, რომ ოსმალეთის მთავრობა შედარებით მეორე ხარისხოვან საქმედ სთვლის კრიტეს საქმეს, ხოლო თავის უმთავრეს ყურადღებას აქცევს ბერძნების აგიტაციას მაკედონიაში.

ოსმალეთის ესკადრას ბძანება გა[illegible] გზავნეს, კუნძულ კარპატოსსა და კრიტეს შუა [illegible]. თუ ომი მოხდა, ოსმალეთის ჯარის მთავარ-სარდლად [illegible] კეთ-ფაშას.

**კრიტეს კონსტიტუცია.**

მფარველი სახელმწიფოები თანახმანი არიან, კრიტეს კონსტიტუცია 1907 წლისა შეიცვალოს და მის მაგივრად ახალი შემუშავდეს. განზრახვა აქვთ, კრიტეს გენერალ-გუბერნატორად გაამწესონ ოსმალეთის ქვეშევრდომი ქრისტიანი და კრიტეზე ბერძენ-ოფიცრების ნაცვლად ოსმალელი ოფიცრები დანიშნონ ჟანდარმებად. საბერძნეთს უფლება მიეცემა მონაწილეობა მიიღოს კრიტეს ახალი ავტონომიის შემუშავებაში.

**მაკედონიაში ომს თხოულობენ.**

უსკუბიდან, მონასტრიდან და სალონიკიდან აქ სტამბოლში ცნობები მოდის, რომ ხალხი მედგრად თხოულობს საბერძნეთთან ომსაო. მიტინგებზე, რომლებსაც ახალგაზდა ოსმალები ჰმართავენ, ხალხი მუდამ რეზოლიუციებს ადგენს, რომ საბერძნეთს უთუოდ ომი გამოუცხადოს მთავრობამ.

**სანდანსკის მოწოდება.**

ცნობილმა სანდანსკიმ მოწოდებით მიჰმართა მაკედონელ ბოლგარებს: თუ ოსმალეთსა და საბერძნეთს შორის ომი მოხდება, თავისუფალ მეომრებად შედით ოსმალეთის ჯარში და კონსტიტუციის მტრები—ბერძნები გასწყვიტეთო.

**საბერძნეთი და სერბია.**

სტამბოლში ხმა გავრცელდა, რომ საბერძნეთმა წინადადება მისცა სერბიას, ერთად დავეცეთ ოსმალეთსაო, მაგრამ სერბიამ უარი შეუთვალაო.

**როგორ მოიქცევიან დიდი სახელმწიფოები.**

დიპლომატთა წრეებში ლაპარაკობენ, რომ თუ საბერძნეთსა და ოსმალეთს შორის ომი დაიწყო, მფარველი სახელმწიფოები ხელ-ახლად ჩააყენებენ თავიანთ ჯარებს კუნძულ კრიტეზეო.

ამბობენ აგრეთვე, რომ მფარველ სახელმწიფოების ფლოტი ალყას შემოარტყავს კუნძულ კრიტეს და ოსმალეთის ჯარს არ შეუშვებს კუნძულზეო.

ზოგიერთი საქმეში ჩახედული დიპლომატი ჰფიქრობს, თუ ოსმალეთ-

---

სთან ერთად იწყება ახალი ხანა კაცობრიობის ისტორიისა, ხანა განათლებულ, თავისუფალ გონების ბატონობისა, რომელიც მთელს მსოფლიოს გარდაჰქმნის აბსოლიუტურ, დღესავით ნათელ, მათემატიკურად დამტკიცებულ ჭეშმარიტების თანახმად. ეს ის იდეალია, რომლის პრაქტიკულად განხორციელებასაც შემდეგში შეეცადნენ რობესპიერი და სენ-ჟიუსტი, იდეალი მსოფლიო მოქალაქეობისა, რომელშიაც მხოლოდ ერთი განსხვავება არსებობს—შედარებითი განსხვავება გონებრივობაში, განათლებაში. მათი მამათმთავარი, რუსსო, აშკარად ამბობს იმ სიტყვებს, რომელიც დამახასიათებელია მთელ ამ მიმდინარეობისთვის: „დღეს არ არსებობენ არც ფრანგები, არც გერმანელები, არც ესპანიელები და ინგლისელები; არსებობენ კიდევ მხოლოდ ევროპიელები, რომელთაც ერთი და იგივე გემოვნება, ერთი და იგივე სულიერი წყობილება, ერთი და იგივე ზნე-ჩვეულება აქვთ, იმიტომ რომ არც ერთს მათგანს არ მიუღია ეროვნული ხასიათი განსაკუთრებულ დაწესებულების შემწეობით“. იმავე აზრს ეთანხმება დ. ჰიუმიც თავის გამოკვლევებში „ადამიანის გონებაზე“: „დღეს ყველასათვის ცხადია, რომ ყველა ეროვნებისა და ეპოქის ადამიანთა მოქმედებაში დიდი ერთფეროვნება სუფევს და რომ ადამიანის ბუნება უცვლელი რჩება თავის პრინციპებსა და მოქმედებაში“ (მერვე ნაწილი, თავი პირვ.) *).

*) ჩვენ ჰიუმი და რუსსო გვაინტერესებენ, როგორც ტიპიური წარმომადგენელნი ფსიხოლოგიური და სოციალური ატომიზმისა: სხვაფრივ, რასაკვირველია, ორივე შეუდარებლად მაღლა სდგას მეთვრამეტე საუკუნის პოპულიარულ რაციონალიზმზე.

თავის ძირითადს შეხედულებებს რაციონალიზმი არ ჰღალატობს არც ფსიხოლოგიურ თეორიაში. არც სულიერ თვისებების დაფასებაში, უძვირფასესი, უდიდმნიშვნელოვანესი მხარე ადამიანის ფსიხიკისა არის გონება, აზროვნება: იგი დაფუძნებულია წარმოდგენათა მექანიკურს ასსოციაციაზე. კიდევ მეტი: თვით აზროვნება ასსოციაციის ჯაჭვია და სხვა არაფერი; ის მით უფრო ნათელი და გარკვეულია, მით უფრო უახლოვდება ჭეშმარიტებას, რაც უფრო ნაკლებად განიცდის ნებისყოფის და გრძნობის ზედგავლენას. თვით ასსოციაციის მიმდინარეობა და, მაშასადამე, აზროვნება დამოკიდებულია არა ინდივიდუალურ თვისებებისა და ნიჭისაგან, არამედ ობიექტიურ კანონებისაგან, რომელნიც ისეთისავე ულმობელის აუცილებლობით მოქმედებენ, როგორც გარეგანი ბუნების კანონები. ამიტომ აზროვნება არსებითად ერთფეროვანია: საკმაოა იგი განთავისუფლდეს ვნებათა ღელვისა, ცრუ-მორმწუნოებისა და აფექტთა ზედგავლენისაგან, რომ უსათუოდ მიაღწიოს აბსოლიუტურს ჭეშმარიტებას და მასთან ერთად ბედნიერებას, რომელიც დამოუკიდებელია დროებისა და სივრცის პირობებისაგან და, მაშასადამე, ერთი და იგივეა ყველა გონიერ არსებისათვის აწ უკუნ[illegible]რთად არსებულ წოდებათა, კლასსთა და ეროვნებათა განურჩევლად. პირიქით, ადამიანის სულიერ ცხოვრების იმ მხარეს, რომელშიაც ყველაზე უფრო იხატება ისი სუბიექტივობა და ორიგინალობა—გრძნობას და ნებისყოფას რაციონალიზმი ან სრულიად არა სცნობს ფსიხიურ რეალობად ან უმნიშვნელო და უარყოფით როლს ანიჭებს: როგორც ინდივიდუალური, ისე უმაღლესი სოციალური გრძნობები—წოდებრივი, ეროვნული, სარწმუნოებრივი—აცალკევებენ და აბრმავებენ ადამიანებს და, მაშასადამე, განკიცხულ უნდა იქმნან საღ გონიერებისა და აბსოლიუტურ ჭეშმარიტების სახელითაო.

2.

მეცხრამეტე საუკუნის ფილოსოფიურმა და მეცნიერულმა მიმდინარეობამ ბოლო მოუღო ფსიხოლოგიურს და სოციალურს ატომიზმს. უწინარეს ყოვლისა ორმა დიდ-მნიშვნელოვანმა მოვლენამ იქონია ამ მხრივ გადამწყვეტი გავლენა: რომანტიულმა ფილოსოფიამ და ჰეგელმა, ერთის მხრივ, ვოლუნტარისტულმა ფსიხოლოგიამ, მეორეს მხრივ. ამ უკანასკნელმა სულიერ ცხოვრების ცენტრად ნებისყოფა აღიარა, ნებისყოფა როგორც მთლიანობა ფსიხიურ ენერგიისა, როგორც მიმდინარეობა, როგორც პროცესსი, რომელშიაც იხატება მთელი სიმდიდრე და მრავალ-მხრივობა ადამიანისა. წარმოდგენანი ან აფექტები შედიან, როგორც შემადგენელნი ნაწილნი ამ პროცესში, მაგრამ როგორც შეცდომა იქმნება, მაგ., მდინარე წვეთების უბრალო შეერთებად ვაღიაროთ, ისევე უსამართლობა იქმნება, რომ ადამიანის ფსიხიკა გარეგნულად შეკავშირებულ წარმოდგენათა სისტემად ვსცნოთ და უყურადღებოდ დავსტოვოთ მისი მიმდინარეობა და მიმართულება. აქედან წარმოსდგება ახალი ცნება არა სულისა, როგორც აქტივურ პრინციპისა, რომელმაც ძველ მეტაფიზიკურ შეხედულების ადგილი დაიჭირა: ფსიხიურ გამოცდილების სფეროში ჩვენ ვხედავთ სულს არა როგორც სუბსტანციას, „უცვლელს და დამოუკიდებელს არსებას“, არამედ როგორც აქტივობას, „ჯამს თვით ჩვენის შინაგან გამოცდილებათა, ჩვენის წარმოდგენისა, გრძნობისა და ნებისყოფისა, როგორც შეგნების მთლიანობას, რომელიც განვითარების საფეხურზე ბოლოს თვით შემეცნებულ აზროვნების და თავისუფალ ზნეობრივ ნებისყოფის სიმაღლეზე ადის“. (ვუნდტი: „ლექციები ადამიანის და ცხოველის სულზე“, ლექცია მე-XXX).

რადგან თანამედროვე აზროვნებამ ძირიანად უარჰყო ის რწმენა, რომ სული მონადაა უკარო და უსარკმლო, რადგან მან სულიერ ცხოვრების დედა-არსად აქტივობა აღიარა, უპირველესი პრობლემა, რომლისთვისაც ანგარიში უნდა გაეწია მას, იყო საკითხი ინდივიდუალურ შეგნებისა და სოციალურ ერთეულის ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ, და უდიდესი ისტორიული ღვაწლი რომანტიულ ფილოსოფიისა და, განსაკუთრებით, ჰეგელისა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მათ სავსებით სცნეს ამ საკითხის მნიშვნელობა და გზა გაუკვალეს იმის სამართლიანად გადაწყვეტას. პიროვნება, არა განყენებული, უსისხლ ხორცო აჩრდილი, არამედ ისეთი, როგორსაც ჩვენ ვიცნობთ კონკრეტიულს სინამდვილეში, განსაზღვრულს ენაზე მოლაპარაკე, განსაზღვრულ აზროვნების, ზნე-ჩვეულებების, რწმენის, მორალის და უფლების მატარებელი, გაუგებარია, სანამ მის ვიწრო ინდივიდუალურ საზღვრებიდან არ გამოვალთ. კიდევ მეტი: პიროვნება გასაგებია არა როგორც აბსოლიუტურად თავისუფალი და დამოუკიდებელი **ინდივიდუალობა**, არამედ როგორც **სუბიექტი**, რომელიც რთულს და მრავალმხრივს დამოკიდებულებასა და ურთიერთობაში იმყოფება სოციალურს ობიექტთან. ინდივიდუალურ თვალთაზრისთვის გაუგებარი, სასწაულებრივი მოვლენაა ენა, სარწმუნოება, მორალი, უფლება, მით უმეტესს მოქალაქობრივი საზოგადოება, ეროვნება და სახელმწიფო: ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ძველი ფილოსოფიური სპეკულაცია არა ერთხელ უბრუნდება იმ აზრს, რომ ენა არსებითად სასწაულებრივი მოვლენაა, უზენაეს არსების ნაჩუქარი, რომლის შემწეობითაც ადამიანს შეძლება ეძლევა ცხოველურს მდგომარეობიდან თავი დააღწიოს.

რომანტიულ ფილოსოფიისა და ჰეგელისათვის კი სუბიექტიური სული არ არის ერთად-ერთი შემომქმედი ფსიხიური ენერგია: მის ანტიტეზას წარმოადგენს ობიექტიური სული, რომელიც იხატება უფლებაში, ზნე-ჩვეულებაში და მორალობაში და ჰქმნის, როგორც თავის გარეგნულ განვითარების საფეხურებს—ოჯახს, მოქალაქობრივ საზოგადოებას და სახელმწიფოს. უმაღლესი საფეხური შემომქმედ სულისა კი არის მთლიანობა ანუ სინტეზი სუბიექტიურ და ობიექტიურ სულისა ანუ აბსოლიუტიური სული, რომელიც ხელოვნებაში, სარწმუნოებაში და ფილოსოფიაში თავის გამოხატულებას, ხოლო უკანასკნელში აგრეთვე თავისსავე თავის შეგნებას და აბსოლუტურს დამთავრებას პოულობს.

განუზომელია ის გავლენა, რომელიც ამ შეხედულებებმა იქონია მეცხრამეტე საუკუნის მსოფლიო მხედველობაზე: მოაზროვნე პიროვნება იგებს, რომ იგი წარმოადგენს არა განმარტოებულს კუნძულს ცხოვრების თვალ-უწვდენელს ზღვაში, არამედ ცოცხალ სოციალურ ერთეულის ნაწილს, რომლის ზრდა, განვითარება და აღორძინება იმდენადვე სასარგებლოა მისთვის, რამდენადაც განუვითარებლობა, უკან-სვლა და გადაგვარება საზარალო და საზიფათოო; რომ არსებობს სხვა ძალაც მის გვერდით და მასზე მაღლა, რომელიც ჰქმნის უფრო დიადს და უფრო მშვენიერს, ვიდრე კერძო პიროვნებას ძალუძს; რომ ეს შემომქმედი, აქტიური ძალა წარმოადგენს უფრო მაღალ-ხარისხოვანს რეალობას და ღირებულებას, ვიდრე ინდივიდუალური სული; რომ ის თვით უკვდავია და უკვდავ ჰყოფს პიროვნებასაც, რამდენადაც პიროვნება ხელს უწყობს იმის წინსვლას... არის დასაწყისი ახალ ხანისა მსოფლიო მხედველობის განვითარებაში, რომელსაც ჩვენ შეგვიძლიან (გერმანელ ისტორიკოსს ლამპრეხტთან ერთად) სუბიექტიურ შეგნების ხანა ვუწოდოთ, წინაამდეგ წინა საუკუნოების (მეთხუთმეტედან—მეთვრამეტემდის) ინდივიდუალისტურ აზროვნებისა.

რა არის ეროვნება თანამედროვე მსოფლიო მხედველობის თვალთსაზრისით?

**გერონტი ქიქოძე.**

(შემდეგი იქნება)

საბერძნეთის ომი დაიწყება, მაშინვე მთელს ბალკანეთშიაც იფეთქებს ომი.

**ოსმალეთისა და საბერძნეთის ჯარი**

ვენური გაზ. „ნ. ფრ. პრესე“ დარებს საბერძნეთისა და ოსმალეთის ჯარს და რაღა თქმა უნდა, ამტკიცებს, რომ ოსმალეთი გაცილებით ძლიერია პატარა საბერძნეთზეო.

საბერძნეთს მშვიდობიანობის დროს ჰყავს სულ 22,000 ჯარისკაცი, ოსმალეთს-კი მარტო ევროპაში ჰყავს 120,000 ჯარისკაცი. ომის დროს საბერძნეთს შეუძლიან სულ 70,000 ჯარისკაცის გამოყვანა, ოსმალეთი-კი მარტო ევროპიულ პროვინციიდან გამოიყვანს 350,000 ჯარისკაცს. საბერძნეთში რომ მტკიცედ სრულდებოდეს სამხედრო წესები, მას გაცილებით მეტი ჯარი ეყოლებოდა. კანონით ყოველი სრული-წლოვანი ბერძენი მოვალეა ორს წელიწადს იმსახუროს ჯარში, ხოლო შემდეგ 10 წელიწადს ირიცხებოდეს სათადარიგო ჯარში. რადგან საბერძნეთში ყოველ წელიწადს საშუალოდ 25,000 კაცს იწვევენ ჯარში, საბერძნეთს ომის დროს დაახლოვებით 300,000 ჯარისკაცის გამოყვანა უნდა შეეძლოს. მაგრამ ნამდვილად ახალ ჯარისკაცთა დიდ ნაწილს ანთავისუფლებენ სამსახურიდან, ხოლო ჯარში ჩარიცხულთა მომეტებული ნაწილი, 50—60 პროცენტი თავს გაარიდებს ხოლმე სამსახურს. ამის გამო საბერძნეთს ომის დროს. მხოლოდ 70 ათას ჯარისკაცის გამოყვანა შეუძლიან.

ომის დროს საბერძნეთი გამოიყვანს: 54 ბატალიონს ქვეითა ჯარს, 18 ესკადრონ ცხენოსანს და 75 ბატარეას, ესე იგი 52,000 ქვეითა ჯარისკაცს და 3,600 ცხენოსანს, და მის ჯარს ექნება 366 ზარბაზანი. 1897 წელს, ოსმალეთთან ომის დროს საბერძნეთი 100,000 ჯარის კაცის გაყვანას აპირებდა, მაგრამ ნამდვილად მხოლოდ 70,000 კაცი გაგზავნა ომის ასპარეზზე, რადგან დანარჩენნი არ ვარგოდნენ საბრძოლველად.

ოსმალეთი-კი სულ ადვილად გაჰგზავნის საბერძნეთის წინააღმდეგ 124 ბატალიონ ქვეითა ჯარს, 40 ესკადრონ ცხენოსანს და 72 ბატარეას და ეს საკმაოც იქნება საბერძნეთის დასამარცხებლად, ამ ჯარის გასაყვანად ოსმალეთს დასჭირდება მარტო მესამე კორპუსის (სალონიკის კორპუსის) მობილიზაცია, მაგრამ მას ადვილად შეუძლიან მობილიზაციის მოხდენა აგრეთვე ადრიანოპოლის სამხედრო ოლქშიაც, სადაც ითვლება 69 ბატალიონი, 40 ესკადრონი და 65 ბატარეია.

# რუსეთი

✦ **პურიშკევიჩი.** პურიშკევიჩს ნაფიც ვექილ ვებერისთვის (ვებერი გერცენშტეინის ქვრივის ინტერესთა დამცველია) წერილი მიუწერია. პურიშკევიჩი ვებერს სწერს, საქმეს ნუ აჩქარებ, „ჭეშმარიტ რუსთა კავშირს“ ცილს ნუ სწამებ, მიიღე ზომები, რომ საქმე ჩქარა გათავდეს, თორემ „კავშირის“ „თავდაუჭერელი“ წევრები ძალას მიმართავენო.

✦ **პეტერბურგის უნივერსიტეტში.** „კასპს“ პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: ადგილობრივ უნივერსიტეტში მოწმობების განხილვის დროს პროფესორთა საბჭომ 8 ყალბი მოწმობა აღმოაჩინაო.

✦ **სრულიად რუსეთის მესტამბეთა კრება.** სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით განზრახულია ამ მოკლე ხანში მოიწვიონ სრულიად რუსეთის მესტამბეთა კრება.

✦ **კიევის მაძებარ პოლიციის უფროსად ნამყოფი ასლანოვი.** „რან. უტრო“ იუწყება, რომ კიევის მაძებარ პოლიციის უფროსად ნამყოფის, ცნობილ ასლანოვის ვექილმა ამანიცკიმ შუამდგომლობა აღძრა ასლანოვი „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ თავმდებობით გამოუშვითო.

✦ **საგზაო სამინისტროში.** „რუსკ. ვედ.“-ში ვაითხულობთ: გზათა მინისტრის ბრძანებით ბეჭდვითი სიტყვის ბიურო ყოველ დღე უგზავნის მინისტრს გაზეთებში სამინისტროს შესახებ დაბეჭდილ ცნობებს. ამრიგად მინისტრი ყოველ დღე 100 ცნობას მაინც იღებს. ამ ცნობების შესაკრებად წელიწადში 1000 მანეთი იხარჯება. ზოგიერთ ცნობებზე მინისტრი თავის რეზოლიუციებს აწერს და ბეჭდვითი სიტყვის ბიუროს უბრუნებს. ბეჭდვითი სიტყვის ბიურო თავის მხრივ ამ ცნობებს უგზავნის ვისიც ჯერ არს. ორი კვირის შემდეგ ბიუროს მოხელე იძიებს რა შედეგი მოიტანა ამ ზომამ. ამ ბიუროს უფროსად გზათა მინისტრმა რუხლოვმა დანიშნა №, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ დაითხოვა. № დადიოთა თურმე გზათა სამინისტროს დაწესებულებებში და ფულსა ჰკრეფავდა; ამა და ამ ცნობას, რომელშიაც მინისტრი თქვენ შესახებ ბევრ ვერაფერს კარგს ამოიკითხამსო, მინისტრს აღარ გაუგზავნიო. ამ ამბაემა მინისტრის ყურამდის მიაღწია, მინისტრს ჯერ არა სჯეროდა ეს ამბავი, მაგრამ როდესაც ერთმა კერძო რკინის გზის მართველობამ წარუდგინა № ხელწერილი, 100 მანეთი მივიღეო, № დაითხოვეს“.

✦ **პორტ-არტურის მემკვიდრეობა.** პორტ-არტურის აღების შემდეგ „იაპონელებმა, სხვათა შორის, კონფისკაცია უყვეს აუარებელ საგერბო და საფოსტო მარკებს, სავექსილო ბლანკებს და სხვა. „ბირჟ. ვედომ“-ს სიტყვით ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ-მართველებას გაუგია, რომ ეს მარკები ვილაეცებს რუსეთში შემოუტანიათ და ასაღებენ. ნამეტან ბევრი შემოუტანიათ განაპირა ქვეყნებში.

✦ **სანაძლეო.** „რუსკ. სლოვო“-ში ვკითხულობთ: „მთელი დასავლეთი რუსეთი ბენდერის მაზრის (ბესარაბია) საერობო უფროსის კოლიბაბას და ამავე მაზრის მემამულე ცანკოს სანაძლეოზე ლაპარაკობს. მემამულე ცანკო კოლიბაბას დაჰნაძლევებია, თუ ჩემ მინდორში 16 დღიურ ქერს მოსცელავ, სოფელ გამრატში (აქა სცხოვრობს ცანკო და კოლიბაბა) ქალების გიმნაზიას დავაარსებ და მევე შევინახავო. კოლიბაბა უკვე შესდგომია ცელვას და კიდეც მოუცელია 14 დღიური, დანარჩენ ორ დღიურს ამ დღეებში მოსცელავს. ცანკომ რა კი დაინახა, რომ სანაძლეოს აგებს, კოლიბაბას შარი მოუდო, ცელს სხვას ალესინებსო, მაგრამ სხვებმა დაარწმუნეს, ეს სულ ერთიაო. ცანკო მდიდარი მემამულეა, აქვს ხუთი მილიონის შეძლება და გიმნაზიას ერთდროულად 50,000 მანეთი უნდა მისცეს. კოლიბაბას სანახავად ასი ვერსის მანძილიდან მოდიან. ახლო მახლო სოფლის მასწავლებლებს და ზოგიერთ მემამულეებს გადაუწყვეტიათ კოლიბაბას ვერცხლის ცელი მიართვას. ამას გარდა სოფ. კამრატის გლეხები საერობო უფროსს მიართმევენ ლამაზ ქეტონს, რომელზედაც დახატული იქნება ყანა და თავთავები. კოლიბაბა 27 წლის კაცია, გაათავა ოდესის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. კოლიბაბა ისეთი წარმოსადგენი ვაჟკაცია, რომ მისი შესაფერი ცელი ვერ იშოვეს და მისთვის განსაკუთრებით შეუკვეთეს. ამ ცელს შეინახამენ მომავალ გიმნაზიაში.

# რევოლიუცია ესპანიაში

**მდგომარეობა ბარცელონაში.**

28 ივლისს მუშებმა მანიფესტაცია გამართეს იმ დატუსაღებულთა დასახმარებლად, რომლებიც მონჟუიჩის ციხეში სხედან. ჟანდარმებმა გაფანტეს მანიფესტანტები.

ჯარის უფროსმა გამოაცხადა, სამხედრო სასამართლო დააჩქარებს დატუსაღებულთა საქმეების გარჩევასო. საალყო წესები ჯერ დიდხანს დარჩებაო. მთავრობის აზრით, ჯერ დრო არაა, ბარცელონის მმართველობა სამოქალაქო გუბერნატორს გადაეცეს.

27 ივლისს ბარცელონაში კიდევ ბევრი ხალხი დაატუსაღეს. ბანკებს ჯარის ძლიერი რაზმები იცავენ. მოელიან ახალ გაფიცვას.

# ესპანია და მაროკო

**მაროკოს სულთნის წინადადება.**

პარიზში ცნობა მიიღეს: მაროკოს სულთანმა მულაი-ჰაფიდმა წინადადება მისცა ესპანიას, ომი მოსპეთ და კაბილებს მე თითონ დავამშვიდებო. ესპანიამ არ შეიწყნარა ეს წინადადებაო.

**ესპანელ მოღვაწის აზრი.**

ცნობილ ესპანელ მოღვაწეს, ესპანიის პირველ მინისტრად ნამყოფს მარშალ ლოპეც დომინგეცს შემდეგი აზრი გამოუთქვამს მაროკოს ომზე.

„ესპანიის მთავრობა გიჟურად იქცევა, იგი საზოგადოებრივ აზრის წინააღმდეგ მოქმედებს. მაროკოში ხანგრძლივი ომი ისეთი ავანტიურაა, რომელსაც ვერ აიტანს ჩვენი ფინანსები. ომი დაუყოვნებლივ უნდა მოისპოს. მეფის საკუთარი ინტერესი მოითხოვს ლიბერალურ მმართველობას“.

# უცხოეთი

**ინციდენტი რუსეთ-გერმანიის საზღვარზე.**

„რუს. სლოვო“-ს დეპეშით ატყობინებენ ვარშავიდან: სოფელ ვილკოვიჩში, რუსეთ-გერმანიის საზღვარს ახლო, დაეშვა გერმანიის ჰაეროსტატი (ჰაერში მფრინავი ბუშტი) ხუთის მოგზაურით. სამაზრო პოლიციამ მათ გამოართვა 22 გეოგრაფიული კარტა და ვარშავის ოლქის სამხედრო შტაბში გაგზავნა.

აეროსტატით მოსულთაგანი—2 აფიცერია და 3 მოქალაქე. ხუთივე დუნხატაში დაატუსაღეს და მხოლოდ უმაღლეს მთავრობის ბრძანებით გაანთავისუფლებენ.

გერმანულმა პრესამ დიდი აღიაქოთი ასტეხა ამ ინციდენტის გამო. ზოგიერთ გაზეთში ცნობა დაიბეჭდა, რომ რუსის მესაზღვრე დარაჯებმა თოფი დაუშინეს აეროსტატს და 3 აფიცერი მოჰკლესო, ეს ცნობა ოფიციალურად უარჰყო მთავრობამ: არც ერთს მოგზაურს არა დაშავებია რაო.

**მილიერანის განკარგულება.**

საფრანგეთის ფოსტა-ტელეგრაფის ახალმა მინისტრმა მილიერანმა ბძანება გასცა, რომ ხელახლად მიიღონ სამსახურში ფოსტა-ტელეგრაფის ყველა ის მოსამსახურე, რომელნიც დათხოვნილნი იყვნენ გაფიცვაში მონაწილეობის გულისთვის.

# ეგნატე ნინოშვილის

**ძეგლის ასაგებად.**

რედაქციამ მიიღო ეგნატე ინგოროყვას ძეგლის სასარგებლოდ დ. ყაგიზმანში შეგროვილი 7 მ. 30 კ.

შემომწირველთა სია: მღვდელი გ. ჯაჯანიძე—1 მ. 20 კ., ტ. ვაშაკიძე—1 მ., ეკ. პოდნევისა—1 მ., გ. ქიქოძე—1 მ., ნ. ჯაჯანიძისა—60 კ., ელენე პგელაძისა—50 კ., ალექსანდრე მგელაძე—50 კ., კ. კიკნაძე—50 კ., ვ. რ. ჯაფარიძე—50 კ., ნ. ქიქოძისა—50 კ.

# წერილი რედ. მიმართ

უმორჩილესად გთხოვთ, ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში ამ ჩემს მცირე შენიშვნას, რათა გამოვუცხადო ჩემი ულრმესი მადლობა იმ პირთ, რომელთა სიასაც ქვემოდ მოვიყვანთ.

ჩვენი საუკეთესო ნაშთი საქართველოს მეფეთა კარის წმ. გიორგის ეკკლესია (ანჩისხატის ტაძრის მახლობლად) ისეთ სიძველეს წარმოადგენს, რომ მისი განახლება ვალად აწევს ყოველ შეგნებულ ქართველს, განურჩევლად პროფესიისა. ამ ტაძრის წინამძღვრად განწესების დღიდან განზრახვა მაქვს ეს ნაშთი გავამშვენიერო და ის სახე მივცე, რაც შეჰფერის მას. თუ მთლიანად ვერ მოვიყვან სისრულეში ამ განზრახვას, რასაკვირველია, წყაროთა უქონლობის გამო, ვეცდები მაინც კერძო პირთა დახმარებით, წმ. გიორგის კარის ეკკლესიას ჯეროვანი სიმშვენიერე და ლაზათი მივსცე. ამ საქმეში მამხნევებს ის ღრმა რწმენა, რომ ჯერ კიდევ არ გამქრალან ჩვენში ის პირნი, რომელთაც აინტერესებთ ჩვენი წარსული და ალმაცრივ არ უყურებენ იმ სიძველეთა აღდგენა-გამშვენიერების საკითხს, რომელსაც დრაა დამოკიდებულება აქვს ჩვენს მომავალთან. სიას ამნაირ გულშემატკივართა პირებისას, რომელთაც გაიღეს დღემდე თავიანთი წვლილი წმ. გიორგის კარისად ყოფილის ეკკლესიის გასამშვენიერებლად ამასთან ვაცხადებ:

ხუთ-ხუთი მანეთი: იულიამ, ქრისტეფორემ, მ. შარშაშიძისამ. ივანე იოსელიანმა, მარიამ ჯამბაკურიან-ორბელიანისამ, №№ იან. ტურიევმა, ერასტი ჯავჯანიძემ, ა. კ. ანდრეოლეტტიმ, კვეზერელმა-კოპაძემ, ტფ. სამეურნეო ბანკმა; სამ-სამი მანეთი: დათიკო იოსებისძე ელიაზაროვმა, იაგორ მაისურაძემ თ-ო დიმიტრი ჩოლაყაშვილმა; ორ-ორი მანეთი: კვაიჩაძემ, №№, ოლგა საჩ. გაბაევისამ; მანეთ ნახევარი—პავლე ყურიტაშვილმა; თითო მანეთი: №№, დ. ჯმუხაძემ, ნოშრევან მერკვილაძემ, №№, ანანიევმა, მალიევისამ, ანნა იოსელიანისამ; ათ-ათი შაური: სიმონ მაჭარაშვილმა, ედიშეროვმა, მიხეილ კეილმა, ეკატერინე ვეზიროვისამ, მარიამ მაკაცეცკაიამ, ანდრია მათიაშვილმა, ვ. კოგოშვილმა, აბულაძემ, დ. ლოლაძემ; ორ-ორი აბაზი: ოლღა მაჭარაშვილისამ, ნადეჟდა მაჭარაშვილისამ, თითო აბაზი: გიორგი ადიაშვილმა, №№. სულ 90 მან. 20 კაპ. შემოწირულება მიიღება პირდაპირ ჩემს სახელზე: Тифлисъ, Настоятелю бывшей придворной Св. Геворгіевской церкви.

**მღ. ქრისტესია თხინვალელი.**

—

(პასუხად ქვიშხეთელს)

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ჩემს ამ მცირე პასუხს, ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთში.

„დროების“ მე-147 ნომერში წავიკითხე მოწერილი ამბავი სოფ: ქვიშხეთიდან, რომელშიაც ბ-ნი ქვიშხეთელი, ქვიშხეთის ეკლესიის შესახებ იწერებოდა სრულიად სიმართლეს მოკლებულ ამბავს. აგერ მეათე წელია, რაც მე ქვიშხეთში მღვდლად ვარ და არც სასულიერო უწყებისაგან, არც ხალხისაგან არ მამიღია საყვედური ეკლესიის ფულის უანგარიშოდ დახარჯვისათვის და ეკლესიის გაუმშვენებლობისათვის. როდესაც მოვედი მე ქვიშხეთში, ეკლესია ახლანდელზე უმეტესად გამშვენიერებული არ დამხვედრია, თუმცა კი ჰქონდა ამ ეკლესიას იმისთანა შემთხვევა, რომ სობოროსავით უნდა მოეწყოთ და გაემშვენიერებინა. წინამოადგილეს, უკვე განსვენებულ მღვდელს მ. ზაქარია კიკნაძეს, მაგალითად, როდესად გაჰყავდათ სურამის გვირაბი რკინის გზისათვის. კარგად იციან ქვიშხეთელებმა, რა შემოსავალი ჰქონდა მაშინ ქვიშხეთის ეკლესიას და რამდენი მლოცველი დადიოდა მაშინ ეკლესიაში. ქვიშხეთის ეკლესია, ვითარცა სოფლისა, სიმშვენიერითა და სილამაზით სხვა სოფლების ეკლესიებზე ნაკლები არ არის; არა თუ სოფლების, იგი დაბა სურამის ეკლესიასაც არ ჩამოუვარდება. შიგ არაცა სწვიმს, არც კედლებია დანგრეული და არც ავეჯეულობა აკლია. ამ ათი წლის განმავლობაში შარშან მესამედ შევაღებინეთ სახურავი, გავაფერინეთ კედლები და სხვა, ისე რომ ხალხზე არაფერი გაგვიწერია. მაშ საიდან იყო ესა? ნუ თუ ღმერთმა ზეციდან ჩამოგვიგდო?! მით უმეტეს ამ ეკლესიაზე ისე დღეობები არ იცის, როგორც სხვა სოფლებში, რის გამოც შემოსავალი ნაკლებია. მე თითონ ვყოფილვარ მოანგარიშეთ სოფლებში, მაგალითად: ულუმბაში, ტეზერში და სავანის ტეზერში, სადაც დიდი დღეობები იცის, მრავალნი ხალნი მიდის სალოცავად და დიდი შემოსავალიც აქვთ ეკლესიებს, მაგრამ სამასი მანეთი კი არსად მინახავს.

რაც შეეხება მ. ქართველიშვილის მიერ შეგროვილ ფულს, იგი ქვიშხეთის ეკკლესიისა არ იყო. ის იყო მთა წმინდის სამლოცველოისა და მისი ყულაბი ებარა ბ-ნ კოტე ყიფიანს, ვითარცა თავმჯდომარეს სამზრუნველოსას. რაც იყო შიგ, გახსნა ბ-ნმა ყიფიანმა ჩემის თანადასწრებით და გადასცა ხალხის მიერ არჩეულ პირებს: ალექსანდრე ყიფიანს, ზაქარა ლომიძეს, თევდორე მჭედლიშვილს და კიკა შუბითიძეს, რომელთაც ფული მოახმარეს მთა წმიდის სამლოცველოს.

შემდეგ ამბობს ბ-ნი ქვიშხეთელი, რომ ეკკლესია გახადეს საკრედიტო დაწესებულებადო. ერთი საბუთი მიჩვენოს ქვიშხეთელმა, ვის ვასესხე ეკკლესიის ფული, ან კი იყო გასასესხებელი?!

რაც შეეხება ს. ბელეთში ნაპოვნ სურას თიხისას და არა ვერხლისას, როგორც ბ-ნი ქვიშხეთელი ამბობს, ცამეტი, თუ ნაკლები, კარგად არ მახსოვს, ძველი ფულით, აი იმის შესახებ რას მოგახსენებთ. მართალია, ბელითელებმა იპოვნეს ეს სურა და მომიტანეს. მე წავიღე და კაჩვენე იმ დროის მოწესრიგეს მღვდელს ქრისტეფორე ციცქიშვილს. იმის რჩევით წავიღე და მივიტანე წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში. იქ მაშინ დამხვდა მდივანი, ბ-ნი ფირცხალავა, რომელმაც გაჰგზავნა გამოსაკვლევად ბ-ნ თაყაიშვილთან, რომლის გამოკვლევით ფული გამოდგა ძველი რომაელების სამ მანეთიანები. რადგან ესენი ისეთ ფასში არ გაიყიდებოდა, მთხოვა ბ-ნმა ფირცხალავამ, რომ შემეწირა სოფელ ბელეთის სახელით წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისთვის, ვითარცა ძველი განძი, და მეც ბ-ნ კოტე ყიფიანის თანადასწრებით იქ დავტოვე.

აი, ბ-ნო რედაქტორო, ყველაფერი გარემოება ქვიშხეთის ეკკლესიისა.

**მღვდელი ლავრენტი ლორია.**

—

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ თქვენ გაზეთში ადგილი დაუთმოთ ჩვენს წერილს. შემთხვევით შევხვდით ჩვენ, ერმილე ფრანგიშვილი, აკაკი კობახიძე, იოანე მურუსიძე, ვლადიმერ ფალიშვილი და ევგენი ყაველაშვილი, უმწეო ქალიშვილს სოფ. თეთრი-მთისა (მეგრელიაშია) მცხოვრებს, ქეთევან ბახტაძის ასულს. ეს ქალი, როგორც სარწმუნოდ გავიგეთ ყოფილა ობოლი და ქალაქში ჩამოსულა სამკურნალოდ. აქიმობის შემდეგ სამკურნალოდან დაუთხოვიათ და დაიარებოდა ქუჩაში, რომ ვისმეს შემწეობა აღმოეჩინა და როგორმე სოფლამდის გაესტუმრებინა. ჩვენ, ზემოხსენებული პირნი, შევედით ამ ქალის მდგომარეობაში და ქვემო-ხსენებულ პირთა შემწეობით აღმოვუჩინეთ სახსარი სოფელში წასვლისა.

სია იმათი, ვინც ფული გადმოგვცა: თ. დადიანი—1 მ., ე. კუპუნიძე 50 კ., გ. კაკაბაძე 50 კ., კირილე 40 კ., № 30 კ., თითო აბაზი: ა. დ. ბალდასაროვი, ა. კერვალიშვილი, მ. მიქიაშვილი, კ. ოსიფოვი, №, რ. ჯანგიძე, ს. ცაგურიშვილი, ვ. მომცელიძე, ე. მიქიაშვილი, კ. ცხვირაშვილი, ე ჯანსიძე, ესილო გაბიჩვაძე, პ. ჭელიძე, პ. კილოსანია, ს. ჯანგიძე, თ ლომიძე, ი. მაისაშვილი, ს. ჩარკვიანი, ი. ქურთიშვილი, №, ა. ტაბუტაძე, მ. ტომარაძე, ა. მზარეულოვი; სამ-სამი შაური: ბ. ფრანგიშვილი, П. Шен. Каренк., მ. იშია, რ. ისაკაძე; ორ-ორი შაური: პსოლანსუ, ამერიკელი, ბეთლემიშვილი, ი. ისაკაძე, მ. ბაქრაძე, კ. სააკაშვილისა. სულ 8 მან. 45 კ.

# განცხადებანი


**დ**აიბეჭდა ქართული პიესები: **„უშნო არშიყი“**, კომ. 3 მოქმ., **„სოფიო“**, ვოდევ. 1 მოქმ., **„დუქნის ოთახში“**, სცენა ქალაქის ცხოვრებიდან, თხზულებანია ალ. თუთაევისა. გამოცემა მეორე. ფასი 20 კაპ.

იყიდება: წ.-კ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზიაში; „ცოდნის“ წიგნის მაღაზიაში. ქ. გორში—არსენ კალანდაძესთან, ტფილისში—დიდუბეში ავტ ორთან საკ. სახ. N 212. ვინც 20—50 ცალს გამოიწერს, დაეთმობა 25%. (25—393—4)

**პირველი კერძო სამკურნალო**

**დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.

**უ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საზებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.

**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1 ნახ.—2 საათამ. საზებიო და ქალებისა.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახევა ს. საზებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** (წ.—1—143)

**საძ. ტყიბულაში**

დამზადებული მაქვს ორას საჟენამდე [illegible]

შემიძლია ჩავაბარო სხვა და სხვა დაწესებულებას და აგრეთვე გავყიდო წვრილათაც.

ტყიბული მიხაილ ყუფარაძე. (4—კვ.—3)

**მატარებლების მიმოსვლა**

**(18 აპრილიდან)**

ფრჩხილებს გარედ აღნიშნულია პეტერბურგის დრო, ფრჩხილებში ტფილისისა

**ტფილისიდან გადის**

**ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი N 1, საღამოს 7 ს. 33 წ. (8 ს. 31 წ.).
2) საფოსტო N 3, დილის 8 ს. 6 წ. (9 ს. 4 წ.).
3) სამგზავრო N 5, ღამის 12 ს. 3 წ. (1 ს. 1 წ.).

**ბაქოსაკენ:** 1) სამგზავრო N 12, საღამოს 9 ს. 13 წ. (10 ს. 11 წ.).
2) საფოსტო N 4, საღამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო N 6, დილის 6 ს. 38 წ. (7 ს. 36 წ.).

**ბორჯომამდე:** 1) სამგზავრო N 7/8, დილის 9 ს. (9 ს. 58 წ.).
2) სამგზავრო N 9/10, ნაშუადღევის 2 ს. 30 წ. (3 ს. 28 წ.).

**ჯულფამდე:** საფოსტო N 74/75, ღამის 12 ს. 46 წ. (1 წ. 44 წ.),

**ერევნამდე:** სამგზავრო და საქონლ. N 78/79, ნაშუადღევ. 4 ს. (4 ს. 58 წ.).

**მცხეთამდე:** მარტო კვირა-უქმეების წინა დღით და კვირა-უქმეებში—1) საგარაკო N 77, დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).
2) საგარაკო N 77 a, ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

**ტფილისში მოდის**

**ბათუმიდან:** 1) სწრაფი N 2, დილის 8 ს. 38 წ. (9 ს. 36 წ.),
2) საფოსტო N 4, საღამ. 9 ს. 40 წ. (10 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო N 6, დილის 5 ს. 50 წ (6 ს. 48 წ.).

**ბაქოდან:** 1) სამგზავრო N 11, დილის 9 ს. 47 წ. (10 ს. 45 წ.).
2) საფოსტო N 3, დილის 7 ს. 8 წ. (8 ს. 6 წ.).
3) სამგზავრო N 5, ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.).

**ბორჯომიდან:** 1) სამგზავრო N 7/8, დილის 6 ს. 46 წ. (7 ს. 44 წ.).
2) სამგზავრო N 9/10, საღამოს 8 ს. 4 წ. (9 ს. 2 წ.).

**ჯულფიდან:** საფოსტო N 72/73, დილის 5 ს. 28 წ. (6 ს. 26 წ.).

**ერევნიდან:** სამგზავრო და საქ., ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23 წ.).

**მცხეთიდან:** მხოლოდ კვირა-უქმეებსა და კვირა-უქმეების წინა დღის—საგარაკო N 76 a, ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.). საგარაკო N 76, საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.).

**საბუღალტრო კლასსები**

**ი. ფონ-ბრენნერისა**

დაარსებული 1890 წ. ტფილისში, ნაზერექნის ქ., ვერის ხიდთან.

სპეციალური საკომერციო სასწავლებელი ორივე სქესისთვის. მიიღებიან 15 წლისაზე არა უმცროსნი. ამ კლასსებში ამზადებენ ბუხჰალტრის, კორესპონდენტის, აგენტის და სხვა თანამდებობებზე მთავრობის, საზოგადოებრივ და სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში. **სამაგალითო სასწავლებელი. საუკეთესო მასწავლებელნი.** 19 წლის განმავლობაში ათასობით ყმაწვილმა კაცმა გაათავა სწავლა, რომელთაც დღეს პასუხ-საგები ადგილები უჭირავთ. დაწვრილებით პროგრამმებში. თხოვნების მიღება უკვე დაიწყო. სწავლა 15 სექტემბრიდან. კანცელარია ღიაა ყოველ დღე. (15—ბ.—9)




швейныя машины „Кайзеръ“

**ალექსანდრე როსტომის ძე თაბაგარის**

**მაღაზია ქ. ქუთაისში.**

ზომიერ ფასებში როგორც ნაღდზედ, ისე ნისიადაც თვიური გადახდით, ვყიდი საუკეთესო საკერავ და ჩულქის საქსოვ მაშინებს, გრამოფონებს და მათ მოწყობილებას.

საქონელს ვღებულობ საზღვარ-გარეთის საუკეთესო და ბევრჯელ დაჯილდოვებულ ქარხნებიდან. **მაშინები მაღალ ხარისხოვანია** და ბევრად უფრო გაუმჯობესებული **„სისტემა ზინგერ“-ზე.** საქონლის სიკარგეში ვიძლევი გარანტიას ათი წლით უფასო შესწორებით, ქარგვას და ჩულქის მაშინებზე ქსოვას ჩვენ თვითონ ვასწავლით.

აგენტები გვყავს და ჩვენი საქონელი იყიდება შემდეგ ადგილებში: სამტრედია, ხონი, ყვირილა, ჭიათურა, ონი, აბაშა, სვირი, ბაღდადი, ლანჩხუთი და სხვაგან. ბ-ს გამოგზავნითაც შეიძლება საქონლის დაბარება და თუ საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ. წერილობით მიწერ-მოწერაზე, პასუხს სწრაფად ვიძლევით.

**ა დ რ ე ს ი:** А. Р. Табагари, г. Кутаисъ.

(100—б.—60)


სტამბა „სინათლე“ რუსისუჩა № 3. ქ. რედაქტორ-გამომცემელი ი. ხ. აბლაძე.